პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 5 სექტემბერი, 1946 წ. № 178 (7701). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გადამწყვეტი პერიოდი თამბაქოს მოსავლის აღებაში—მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირ-შვეციის სავაჭრო მოლაპარაკების საკითხისათვის (1-ლი გვერდი).

საბჭოთა ხალხი დღესასწაულობს იაპონიაზე გამარჯვების დღეს (1-ლი გვერდი).

პარიზის საზავო კონფერენციაზე (მე-2 გვერდი).

ვ. კუპრაძე—ახალი სასწავლო წელი და ჩვენი ამოცანები (მე-3 გვერდი).

ს. ჭილაია—ჟურნალი „მნათობი" სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს (მე-3 გვერდი).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში—სსრ კავშირისაგან მთავარი ბრალმდებლის ამხ. რ. ა. რუდენკოს საბოლოო სიტყვა დანაშაულებრივი ორგანიზაციების საკითხზე (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები—დეპეშები (1-ლი და მე-2 გვერდი).

გადამწყვეტი პერიოდი თამბაქოს მოსავლის აღებაში

საქართველოს თამბაქო ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. ჩვენი კოლმეურნეობები კარგად დაეუფლნენ თამბაქოს მოყვანის აგროტექნიკას და ყოველწლიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. შარშან თამბაქოს დამზადების რესპუბლიკური გეგმა 102,9 პროცენტით შესრულდა. წელს ჩვენგან სამშობლო მოელის 10.500 ტონა ხარისხოვან თამბაქოს. დავალება სერიოზულია და დაძაბულ მუშაობას მოითხოვს.

თამბაქოს მოსავლის აღება მასობრივად არის გაჩაღებული. ამ საქმეში მოწინავენი არიან ლაგოდეხის და ბოლნისის რაიონები და აფხაზეთის ასს რესპუბლიკა. სამწუხაროდ, მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში თამბაქოს აღების საქმე ვერ არის კარგად. თამბაქოს შეტეხვის ტემპები დაბალია სიღნაღის, ჩოხატაურისა და ზუგდიდის რაიონებში. დროულად აუღებლობის შედეგად თამბაქოს გადაწვის შემთხვევებს ადგილი აქვს სიღნაღის, ყვარლისა და ბორჩალოს რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში.

მეთამბაქოობის რაიონების მუშაკთა ღირსების საქმეა გადაჭრით გააძლიერონ თამბაქოს აღების ტემპები. ცნობილია, რომ უკანასკნელმა წვიმებმა დააჩქარეს თამბაქოს მომწიფება. თამბაქო ერთბაშად შემოდის, თუ დავაყოვნეთ აღება, მაშინ ის გადამწიფდება და, მაშასადამე, გაიზრდება დანაკარგები. ამიტომ აუცილებელია კოლმეურნეობებმა ყოველდღიურად შეამოწმონ თამბაქოს პლანტაციები, ორგანიზებულად მოაწყონ მისი შეტეხვა და აცმვა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა, თამბაქოს სპეციალისტებმა, დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაკებმა საჭიროა სათანადო ინსტრუქტაჟი გაუწიონ ცალკეულ კოლმეურნეებს. მათ თვალყური უნდა ადევნონ თამბაქოს შეტეხვას, ზონარზე აცმას, გაშრობას, შეხვევას, დახარისხებისა და შეფუთვის მსვლელობას, რომ თავიდან ავიცილოთ თამბაქოს ხარისხისა და გამოსავლიანობის შემცირება. აუცილებელია თამბაქოს ფოთლები შეიტეხოს იარუსების მიხედვით, ერთმანეთში არ შევურიოთ სხვადასხვა ხარისხის თამბაქო როგორც დახარისხების, ისე დაცალების დროს, არ დავუშვათ დამამზადებელ პუნქტებში არასტანდარტული, სველი თამბაქოს გადაგზავნა. შემდეგ აუცილებელია თამბაქოს აღებაზე სწორად მოვაწყოთ შრომა, მივაღწიოთ იმას, რომ ანემსვის ნორმას ყველა კოლმეურნე მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს. მომჭირნეობით უნდა გამოვიყენოთ ასაცმელი ზონარი. გამონაკლისი როდია, როცა ზონრის უქონლობის მიზეზით ბრკოლდება თამბაქოს აცმა. საჭიროა აღიკვეთოს ზონრის არადანიშნულებისამებრ გამოყენება. ყურადღება უნდა მიექცეს ზონარზე ფოთლების აცმის სიხშირის დაცვას. ამით დავზოგავთ ზონრის დიდ რაოდენობას.

თამბაქოს საშრობი ფარდულების დროულად მომზადება დიდმნიშვნელოვანი საქმეა. მეთამბაქოობის მეტწილ რაიონებში ახალი ფარდულების მშენებლობა და ძველის რემონტი არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. თუ ამ საქმეში ახლავე არ მივაღწიეთ მკვეთრ გარდატეხას, შეიძლება თამბაქოს დიდი დანაკარგები გვექნეს. ფარდულების წესრიგზე მოსაყვანად აუცილებელია მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსები.

დიდი ამოცანების წინაშე დგანან საქართველოს თამბაქოს ნედლეულის ტრესტი და მის სისტემაში შემავალი რაიონული მიმღები პუნქტები. დამამზადებელი აპარატის მოქნილ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული თამბაქოს დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულება. სექტემბრის პირველი რიცხვებიდან დაიწყო სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარება. საჭიროა ეს საქმე შეუფერხებლად მოვაწყოთ, მივიღოთ ზომები დამზადების ტემპების გაძლიერებისათვის.

სექტემბერი თამბაქოს მოსავლის აღების გადამწყვეტი თვეა. ამ სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის მასების დასარაზმავად ჩვენ ყველა პირობა გვაქვს. გაიზარდა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება თამბაქოს მოსავლიანობის გადიდებით და თამბაქოს სავალდებულო ჩაბარების გეგმის შესრულებით. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ყოველი ტონა თამბაქოს ჩაბარებისათვის კოლმეურნეებს ეძლევათ 6 ცენტნერი მარცვლეული, ნაცვლად შარშანდელი 4 ცენტნერისა. აფხაზეთის, აჭარის ასს რესპუბლიკების, ჩოხატაურისა და ზუგდიდის რაიონების კოლმეურნეობებს ყოველი ტონა თამბაქოს ჩაბარებისათვის ეძლევათ 10 ცენტნერი მარცვლეული. გარდა ამისა, მიმდინარე წლიდან ჩამბარებლებს თითო ტონა პირველი და მეორე ხარისხის თამბაქოს ჩაბარებისათვის მიჰყიდიან 100 კილოგრამ შაქარს, მესამე ხარისხის თამბაქოს ჩაბარებისათვის—75 კილოგრამს, ხოლო მეოთხე ხარისხის თამბაქოს ჩაბარებისათვის—50 კილოგრამს. საჭიროა ეს პირობები გავაცნოთ თამბაქოზე მომუშავე ყველა კოლმეურნეს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირი ვალდებული არიან დროულად შეზიდონ მეთამბაქოობის რაიონებისათვის განკუთვნილი მანუფაქტურა და სხვა სამრეწველო საქონელი და მიჰყიდონ ისინი ჩამბარებლებს. მტკიცე კონტროლის დაწესებაა საჭირო, რომ ამ სამრეწველო საქონლის გაცემა დანიშნულებისამებრ სწარმოებდეს.

ჩვენი მეთამბაქოე კოლმეურნეობები, კოლმეურნეები, სპეციალისტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. გაზაფხულზე მათ კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს. პარტიული ორგანიზაციების ვალია სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა მზარდ საწარმოო აქტივობას, დაეხმარონ მათ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში. კიდევ უფრო გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, მეტი მაღალხარისხოვანი თამბაქო მივცეთ საბჭოთა სამშობლოს!

ციტრუსების მყნობა

საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს 1 სექტემბრის ცნობებით, კოლმეურნეობებში ციტრუსოვანთა საზაფხულო მყნობის გეგმა შესრულებულია 67,4 პროცენტით. დამყნილია 2.530.200 ძირი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი.

აჭარის ასს რესპუბლიკაში ციტრუსოვანი კულტურების საზაფხულო მყნობის გეგმა შესრულებულია 96,5 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში—69,0 პროცენტით, მახარაძის რაიონში—100,0 პროცენტით, ლანჩხუთის რაიონში—93,2, ჩოხატაურის—100,0 სამტრედიის—58,3, წულუკიძის—20,0, ქუთაისის—40,0, აბაშის—105,0, გეგეჭკორის—10,0, ცხაკაიას—21,4, ხობის—100,0, ჩხოროწყუს—100,0, წალენჯიხის—100,0, ზუგდიდის—41,2, ფოთის რაიონში—76,7 პროცენტით.

პერიფერიული თეატრების მუშაკები მოსკოვში

მოსკოვში შეიკრიბა რსფსრ პერიფერიული თეატრების 200-მდე წამყვანი მუშაკი—სამხატვრო ხელმძღვანელები, რეჟისორები, მსახიობები. დედაქალაქში აზუსტებენ პერიფერიული თეატრების სარეპერტუარო გეგმებს და დასების შემადგენლობას.

რსფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა, სრულიად რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ და ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყეს სტუმრების შემოქმედებითი შეხვედრა დედაქალაქის თეატრების თვალსაჩინო მოღვაწეებთან. ჩატარებულ იქნა ლექციები, მოხსენებანი და საუბრები თეატრის აქტუალურ შემოქმედებითს პრობლემებზე—დრამატურგთან მუშაობაზე, თანამედროვე რეპერტუარზე, სათეატრო ენაზე, ახალგაზრდობასთან მუშაობაზე, მოსკოვის თეატრების საუკეთესო სპექტაკლებზე და სხვ. პერიფერიული თეატრების მუშაკებმა ინახულეს მუზეუმები და სურათების გალერეები.

საესტრადო რეპერტუარის გადასინჯვა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა შექმნა კომისია, რომელმაც ორი კვირის ვადაში უნდა გადასინჯოს სასტრადო შემსრულებელთა მთელი რეპერტუარი. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ ე. სურკოვი (თავმჯდომარე), ს. ობრაზცოვი, ს. მიხალკოვი, დრამატურგები, ხელოვნების მცოდნენი.

საკავშირო სავასტროლო-საკონცერტო გაერთიანების ხელმძღვანელობას წინადადება მიეცა გამორიცხოს სასტრადო რეპერტუარიდან დაბალი იდეური და მხატვრული დონის ნაწარმოებები. (საკდეს).

საბჭოთა კავშირ-შვეციის სავაჭრო მოლაპარაკების საკითხისათვის

30 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ბ-ნმა აჩესონმა პრეს-კონფერენციაზე გააკეთა განცხადება იმ წარდგინების შესახებ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გაუკეთა საბჭოთა კავშირსა და შვეციას იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის სწარმოებს სავაჭრო შეთანხმების რამდენიმე წლით დადების შესახებ. ამასთან მან სთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ თავისი შეშფოთება გამოსთქვა იმ გავლენის გამო, რაც ასეთ ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებას შეიძლება ჰქონდეს ვაჭრობის მრავალმხრივ განვითარებაზე.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საკდესს შესაძლებლობა აქვს გამოაქვეყნოს შემდეგი:

ა. წ. 17 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებულმა ბ-ნმა დიურბროუმ თავისი მთავრობის დავალებით საბჭოთა მთავრობას მიმართა ნოტით, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იცავს მსოფლიო ვაჭრობის მრავალმხრივსა და არადისკრიმინაციულ საფუძველზე გაფართოებისაკენ მისწრაფების პოლიტიკას, როგორც ეს გათვალისწინებულია შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირთან და სხვა ქვეყნებთან ურთიერთდახმარების შესახებ დადებული შეთანხმების მე-7 მუხლით. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თვალსაზრისი ასეთი პოლიტიკის გატარების მეთოდების შესახებ, ნათქვამია ნოტაში, მოყვანილია მის წინადადებებში მსოფლიო ვაჭრობისა და საქმიანობის გაფართოების შესახებ.

ამ წინადადებათა დასადასტურებლად, ნათქვამია ნოტაში, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და სხვა ქვეყნების მთავრობებმა ურთიერთს გაუგზავნეს ნოტები, რომლებიც შეიცავენ ურთიერთ გამოხატულ განზრახვას თავიდან აიცილონ ისეთ ახალ ღონისძიებათა მიღება, რაც ზიანს მიაყენებდა ვაჭრობისა და საქმიანობის საკითხებზე მოსაწვევად ნავარაუდევ კონფერენციას, რომელიც მოწვეული იქნება გაერთიანებული ერების ეკონომიური და სოციალური საბჭოს მიერ 1946 წლის 18 თებერვალს დამტკიცებული რეზოლუციის თანახმად. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის როცა კი ცნობილი გახდებოდა, რომ ხანგრძლივი პერიოდით დადებულია ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებანი, რომლებიც საქონლის შედარებით მეტ რაოდენობას ითვალისწინებენ, იგი, როგორც ნოტაში არის აღნიშნული, სხვა ქვეყნებს ატყობინებდა თავის თვალსაზრისს მრავალმხრივი ვაჭრობის გაფართოების პროგრამაზე ასეთ შეთანხმებათა გავლენის შესახებ.

ნოტაში შემდეგ ნათქვამია, რომ, როგორც უნდა მივხვდეთ, საბჭოთა მთავრობა ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს შვეციასთან ორმხრივი სავაჭრო შეთანხმების შესახებ, რომელიც ძალაში შეიძლება დარჩეს ხუთი ან მეტი წლის განმავლობაში, და გათვალისწინებულ რაოდენობებს შეუძლიათ გარკვეული პროდუქტების მხრივ ჩანთქან შვეციის ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სურს მიუთითოს ასეთი შეთანხმების ზოგიერთ შედეგზე. ასეთი ტიპის ხანგრძლივი ორმხრივი სავაჭრო შეთანხმება, რომლის შესახებაც, როგორც სჩანს, მოლაპარაკება სწარმოებს შვეციასთან, გამოჰყოფს შვეციის საექსპორტო საგნების გარკვეულ რაოდენობას სსრ კავშირში გასაგზავნად და ამგვარადვე—საბჭოთა საგნებს შვეციაში ექსპორტისათვის, მიუხედავად უფრო ხელსაყრელი კომერციული შესაძლებლობებისა, რომლებიც შემდეგში შეიძლება სხვა ქვეყნებში წარმოიშვას შეთანხმებით გათვალისწინებული პროდუქტების შესყიდვის ან გაყიდვის მხრივ. ექსპორტის მიმართულების ან იმპორტის წყაროს საკითხის ხანგრძლივი დროით წინასწარ გადაწყვეტა ჰქმნის ორმხრივი შაბლონის ჩარჩოებში ვაჭრობის გაყინვის საფრთხეს და ამით შეუძლებელს ხდის მრავალმხრივი ვაჭრობით წარმოშობილ შესაძლებლობათა რეალიზაციას. გარდა ამისა, შეიძლება მოხდეს სხვა ქვეყნების დისკრიმინაცია იმ მხრივ, რომ ისინი ვერ შესძლებენ ითხოვონ და მიიღონ იმ საქონლის ნაწილი, რაც შვეციისა ან სსრ კავშირის მიერ საექსპორტოდ ან საიმპორტოდ არის გათვალისწინებული, შეთანხმების მოქმედების პერიოდის განმავლობაში. დისკრიმინაცია აგრეთვე შეიძლება წარმოიშვას იმის გამო, რომ შვეციის ფირმებს ან სსრ კავშირს უნარი არ ექნეთ შეთანხმებაში აღნიშნული პროდუქტები შეისყიდონ ან გაჰყიდონ სხვა ქვეყნებში, მიუხედავად ბაზრის ისეთი პირობების არსებობისა, რომლებიც ასეთ შესყიდვას ან გაყიდვას ეკონომიურად სასურველს გახდიდნენ როგორც შვეციისა ან სსრ კავშირისათვის, ისე სხვა ქვეყნებისთვისაც.

თავისი ზოგადი პოლიტიკის შესაბამისად, ნათქვამია დასასრულ ნოტაში, შეერთებული შტატების მთავრობამ აცნობა შვეციის მთავრობას თავისი თვალსაზრისი შვეციასა და სსრ კავშირს შორის ნავარაუდევი შეთანხმების შესახებ. მას აგრეთვე სურს სსრ კავშირის მთავრობის წინაშე გამოსთქვას იმედი, რომ სსრ კავშირი არ იკისრებს ვალდებულებებს, რომლებიც არ შეესაბამებიან ურთიერთდახმარების შესახებ შეერთებული შტატების მთავრობასა და სსრ კავშირს შორის 1942 წლის 11 ივნისს დადებული შეთანხმების მე-7 მუხლში მოყვანილ პრინციპებს, ან ისეთ ვალდებულებებს, რომლებიც ზიანს მიაყენებდნენ ვაჭრობისა და საქმიანობის საკითხებზე მოსაწვევად ნავარაუდევი კონფერენციის მიზნებს.

ა. წ. 26 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. გ. დეკანოზოვმა ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებულს ბ-ნ ე. დიურბროუს გადასცა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა.

ნოტაში ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა უდიდეს გაოცებას გამოსთქვამს საბჭოთა კავშირისა და შვეციის მთავრობებს შორის სავაჭრო მოლაპარაკების საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარდგინების გამო. შემდეგ ნათქვამია, რომ ამერიკის მთავრობის ნოტის მსჯელობამ სსრ კავშირსა და შვეციას შორის ნავარაუდევი სავაჭრო შეთანხმების უარყოფითი შედეგების შესახებ საერთაშორისო ვაჭრობისათვის არ შეიძლება გაოცება არ გამოიწვიოს, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც იგი ეხება არახელსაყრელობას, რომელიც აღნიშნული სავაჭრო შეთანხმებიდან თითქოს შეიძლება წარმოიშვას ამ ორი ქვეყნისათვის, და რომ საბჭოთა კავშირის მთავრობას და, როგორც უნდა ვიფიქროთ, შვეციის მთავრობას არ ესაჭიროებათ, რომ მათთვის სავაჭრო შეთანხმებათა ხელსაყრელობისა თუ არახელსაყრელობის საკითხი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხრივ კონსულტაციის საგანი იყოს.

სსრ კავშირის მთავრობა, აღნიშნულია ნოტაში, მით უფრო გაკვირვებულია ამერიკის მთავრობის ნოტის შინაარსით, რომ თვით შეერთებული შტატების მთავრობა სდებს ხოლმე ხანგრძლივ ორმხრივ საკრედიტო-სავაჭრო შეთანხმებებს სხვა ქვეყნებთან მათთვის უშუალოდ ან საექსპორტო-საიმპორტო ბანკის საშუალებით ხანგრძლივი კრედიტების მისაცემად ამერიკის საქონლის შესყიდვისათვის. ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხრივ ინტერპრეტაცია სსრ კავშირსა და შვეციას შორის ნავარაუდევი სავაჭრო შეთანხმებისა შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ როგორც ცდა ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევისა ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის სავაჭრო მოლაპარაკებაში. დასასრულ ნათქვამია, რომ გაოცებას იწვევს აგრეთვე შეერთებული შტატების მთავრობის ნოტაში გამოთქმული იმედი, რომ სსრ კავშირი არ იკისრებს ისეთ ვალდებულებებს, რომლებიც არ შეესაბამებიან შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მთავრობებს შორის 1942 წლის 11 ივნისს დადებული შეთანხმების მე-7 მუხლში მოყვანილ პრინციპებს, ვინაიდან აღნიშნული შეთანხმების მე-7 მუხლის დებულებებს საერთო არა აქვთ რა იმ სავაჭრო მოლაპარაკების ხასიათთან, რომელიც სსრ კავშირსა და შვეციას შორის სწარმოებს. (საკდეს).

საგზაო მანქანათმშენებლობის ქარხანა

სვერდლოვსკი, 4 სექტემბერი. (საკდეს). სვერდლოვსკში შეიქმნა საგზაო მანქანათმშენებლობის ქარხანა, რომელიც აღჭურვილია პირველხარისხოვანი მოწყობილობით. ქარხანა გამოუშვებს პნევმატიკურ ინსტრუმენტს, მოძრავ კომპრესორებს, სატკეპნებს გზებისა და ტროტუარების მოსაასფალტებლად. ქარხანა შეუდგა პირველი მანქანების დამზადებას საგზაო მშენებლობისათვის.

საბჭოთა ხალხი დღესასწაულობს იაპონიაზე გამარჯვების დღეს

მოსკოვში

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა 3 სექტემბერს ზეიმით იდღესასწაულა იმპერიალისტური იაპონიის განადგურების პირველი წლისთავი. ჯერ კიდევ წინა დღით ქალაქმა საზეიმო ელფერი მიიღო. ყველგან მოსჩანან წითელი ალმები, უზარმაზარი პანოები, ტრანსპარანტები, პორტრეტები, ლოზუნგები, რომლებიც დიდებით მოსავენ ჩვენს დიდ ხალხს—გამარჯვებულ ხალხს, ბოლშევიკურ პარტიას, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს—ამხანაგ სტალინს.

ქალაქის რამდენიმე კუთხეში ნახავდით ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც ყურადღებით ისმენდნენ ექსკურსიების ხელმძღვანელთა ახსნა-განმარტებას. ესენი სატრანზიტო მგზავრები არიან. ასეთ საზეიმო დღეს მათ გადასწყვიტეს, ვიდრე თავიანთ მგზავრობას განაგრძობდნენ, რამდენიმე საათი გაეტარებინათ საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქში. საექსკურსიო ბიურომ ხალისით დააკმაყოფილა მგზავრთა კანონიერი სურვილი. პირდაპირ სადგურებიდან ისინი ტაქსომოტორებით წაიყვანეს წითელ მოედანზე.

წითელი მოედნის გრანიტის ტრიბუნებზე მოსჩანან გაცხოველებით მობაასე ადამიანთა ჯგუფები. ერთ-ერთი ასეთი ჯგუფის ცენტრში იდგა გრძელწვერა მოხუცი, რომელსაც მკერდზე გიორგის ჯვარი უბრწყინავდა. მოხუცი 1904 წლის იანვრის დღეებში პორტ-არტურში მსახურობდა. იგი კაპიტან ჟუკოვისა და პორუჩიკ ბორეიკოს მეთხუთმეტე ბატარეაში ქვემეხის მემიზნედ იყო. ახლა იგი გარშემო მყოფთ უამბობდა, იაპონიის ესკადრა როგორ ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს პორტ-არტურს და რა გმირულად იბრძოდნენ რუსი ბატარეელები. მოხუცს სთხოვეს კიდევ ეამბნა რამე, მაგრამ მან მოუხმო ახალგაზრდა მაიორს და ღიმილით სთქვა:

— აი ჩემს შვილს სთხოვეთ. იგი ხასანთან და ხალხინ-გოლთან ურტყამდა სამურაებს.

დაბინდებისას მოსკოვი კამკამა შუქმა გაანათა. საღამოს 7 საათზე მოედნებზე სახალხო სეირნობა დაიწყო. სვერდლოვის მოედანზე ესტრადაა აგებული. გამოდის სრულიად საკავშირო რადიოკომიტეტის სახალხო ინსტრუმენტების ორკესტრი, მას სცვლიან დიდი თეატრისა და სტანისლავსკის სახელობის საოპერო-დრამატული თეატრის საკონცერტო ბრიგადები, „დინამოს" და „ბურევესტნიკის" სპორტსმენები.

ბინდით მოცულ ცაში გამოჩნდნენ პროჟექტორებით გაშუქებული აეროსტატები. შესწყდა ავტოტრანსპორტის მოძრაობა—ადამიანთა ნაკადები გაემართნენ წითელი მოედნისაკენ და ქუჩები აავსეს. ყოფილ „გუმის" შენობაზე, ორდენ „გამარჯვების" მაკეტებსა და ლენინისა და სტალინის გიგანტურ პორტრეტებს შუა, ელვარებს მოწოდების სიტყვები: „გაუმარჯოს საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეს, იაპონიაზე გამარჯვების დღესასწაულს!". უცებ იფეთქეს სხვადასხვაფერმა რაკეტებმა და იმავე დროს ჰაერი შეარყია სადღესასწაულო სალუტის პირველი ზალპის გრიალმა.

ზარბაზნების გრიალი რომ მიყუჩდა, რეპროდუქტორებმა ქალაქს მოჰფინეს ჰანგები ძველი მელოდიისა „მანჯურიის მთებზე". და ახალგაზრდობაც იცეკვდა ვალსის ხმაზე. გვიანობამდე მხიარულობდა მოსკოვი, დღესასწაულობდა იმპერიალისტურ იაპონიაზე დიად გამარჯვებას, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხების გმირობითა და შრომით იქნა მოპოვებული. (საკდეს).

თბილისში

სადღესასწაულოდ მორთული ქალაქი ზეიმობს იაპონიაზე გამარჯვების წლისთავს. შენობების ფასადებს ამშვენებენ წითელი დროშები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა სურათები, ლოზუნგები მისალმების სიტყვებით ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის დიდი სტალინისადმი.

დილით ადრე დაიწყო დღესასწაული. ქუჩებში გაისმა ბედნიერი ახალგაზრდების მხიარული ხმა. ისინი მიდიან ჯგუფ-ჯგუფად ქალაქის პარკებში. ფიზკულტურელებმა დიდი სპორტული დღესასწაული მოაწყეს. ამ დღეს გაიხსნა ლენინის სახელობის სტადიონი. აქ ჩატარდა ძალოსანთა შეჯიბრება და ფეხბურთის მატჩი.

კიროვის სახელობის პარკში ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ კალათბურთელთა გუნდები. საინტერესო მატჩი მოეწყო საჩოგბურთო კორტზე.

აურაცხელმა ხალხმა მოიყარა თავი ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე. აქ სიტყვით გამოვიდა იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლების მონაწილე, უფროსი ლეიტენანტი აკაკი ჯორბენაძე. შემდეგ შესდგა საფეხბურთო მატჩი თბილისის „ლოკომოტივისა" და ერევნის „დინამოს" შორის.

საღამოს სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკებში, ქალაქის ყველა ბაღში გაიმართა დიდი სახალხო სეირნობანი.

გვიან საღამოს ქალაქის ყველა მხრიდან ჰაერში აფარდნენ ნაირფერი რაკეტები, დაიგრიალეს ქვემეხებმა. ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით თბილისმა სალუტი მისცა იაპონელ იმპერიალისტებზე დიადი გამარჯვების აღსანიშნავად.

უკანასკნელი ცნობები

ფელდმარშალ მონტგომერის გამოსვლა კანადაში

ოტავა, 30 აგვისტო. (საკდეს). ფელდმარშალი მონტგომერი ამჟამად კანადის ქალაქებში მოგზაურობს. მან ინახულა კანადის სამხედრო ბაზები ჰალიფაქსი, კინგსტონი, ვანკუვერი, ვიქტორია და სხვ. მონტგომერის გამოსვლების ხასიათი აშკარად გვიჩვენებს კანადაში მისი ვიზიტის სამხედრო მნიშვნელობას. პრესის ცნობების თანახმად, მონტგომერი ჰალიფაქსში აშკარა ხაზგასმით აღნიშნავდა კანადაში თავისი გამგზავრების სამხედრო მნიშვნელობას. მონრეალში მონტგომერი ხაზგასმით აღნიშნავდა კარგი ხელმძღვანელობის, ერთიანობისა და ძალის საჭიროებას მსოფლიოს კრიზისული პრობლემების გადასაჭრელად.

28 აგვისტოს მონტგომერიმ ოტავაში სადილზე სიტყვა წარმოსთქვა და ლაპარაკობდა ახალი ომის შესაძლებლობაზე, მტკიცედ მოითხოვდა შეიარაღებული ძალების მზადყოფნის საჭიროებას, პატარა, მაგრამ კარგად გაწვრთნილი კადრის არმიის ყოლას, რომელსაც ზურგს უმაგრებენ რეზერვები. იგი ლაპარაკობდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდ მნიშვნელობაზე, მრეწველობას განჯგუფებასა და ძლიერი ეროვნული ხასიათის აღზრდაზე. ამ სადილზე წარმოთქმული მთელი თავისი სიტყვის განმავლობაში მონტგომერი მოუწოდებდა ახალი ომისათვის მზადყოფნისაკენ. მონტგომერი ემყარებოდა უკანასკნელი ომის გამოცდილებას და აცხადებდა, რომ თანამედროვე ომი არის ტოტალური ომი და ეხება ეროვნული ცხოვრების ყოველ მხარეს. ატომის ენერგიაზე, როგორც მომავალი ომის ახალ იარაღზე ლაპარაკის დროს მონტგომერი მოუწოდებდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და სამრეწველო პოტენციალის განჯგუფებისაკენ. მონტგომერიმ განაცხადა, რომ ერების ბრიტანულ თანამეგობრობას ომისათვის მზადყოფნის შენარჩუნებით შეუძლია რწმენით უცქიროს თვალში მომავალს, იმედი ჰქონდეს მშვიდობისა, მაგრამ ემზადოს ყოველგვარი შემთხვევითობისათვის.

29 აგვისტოს მონტგომერი გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე ოტავაში და ლაპარაკობდა თანამედროვე არმიის ხასიათზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჯარისკაცი, უწინარეს ყოვლისა, სოციალურ ფიგურას წარმოადგენს. მან ჩამოსთვალა ოთხი ფაქტორი, რომლებიც განსაზღვრავენ არმიის მორალურ მდგომარეობას: ხელმძღვანელობა, დისციპლინა, ამხანაგობა და საკუთარი ღირსების გრძნობა. მან განაცხადა, ადამიანი ჯერ კიდევ ყველაზე მთავარი იარაღია.

მონტგომერიმ უპასუხა ატომურ ბომბთან დაკავშირებულ კითხვებზე და სთქვა, რომ „ძალიან საეჭვოა", ატომურმა ბომბებმა სახმელეთო ბრძოლები გააუქმონ.

ზოგიერთი კორესპონდენტის აზრის თანახმად, მონტგომერის ვიზიტი კანადაში მჭიდროდ არის დაკავშირებული კანადის არქტიკული რაიონების დაცვის პრობლემასთან, საჭურვლის სტანდარტიზაციის პრობლემასა და მომავალი ომისათვის კანადის მზადებასთან.

ოტავის გაზეთი „სიტიზენი" 30 აგვისტოს კომენტარს უკეთებს მონტგომერის განცხადებას, არმია პოლიტიკის გარეშე უნდა დარჩეს, და სწერს, რომ მონტგომერის განცხადება თავისი ხასიათით პოლიტიკურია. გაზეთი სწერს, რომ სულ ამას წინათ კანადელი გენერალ-მაიორი უორტინგტონი, ედმონტონში გამოვიდა და ხაზგასმით აღნიშნავდა კანადის მზადყოფნის საჭიროებას ჩრდილო რაიონების დასაცავად. გაზეთი აცხადებს, რომ ძნელი იქნება დავარწმუნოთ კანადის უახლოესი ჩრდილოეთელი მეზობელი—საბჭოთა კავშირი, რომ კანადის მზადება ჩრდილოეთის ფრონტზე უწყინარია. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საბჭოთა კავშირმა კონტრღონისძიებანი იხმაროს თავისი თავდაცვისათვის.

ალან ბრუკი ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის დირექტორი

კაირო, 4 სექტემბერი. (საკდეს). არაბული საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, საიმპერიო გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი ლორდი ალან ბრუკი ოქტომბერში დაიკავებს ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის დირექტორის პოსტს; ამ კომპანიის კაპიტალი ამჟამად 22 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრის.

მღელვარება რიო-დე ჟანეიროში

ნიუ-იორკი, 1 სექტემბერი. (საკდეს). ასოშეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ორი დღის მღელვარების შემდეგ, რაც ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში საცხოვრებელი მინიმუმის ღირებულების გადიდებასთან დაკავშირებით წარმოიშვა, ბრაზილიის მთავრობამ ქალაქში სამხედრო წესები გამოაცხადა. მღელვარების დროს მოკლულ იქნა ერთი კაცი, 100 დაიჭრა და 500 კაცი საპატიმროში მოათავსეს. ჯარები იცავენ ქალაქის სტრატეგიულ პუნქტებს. ასოშეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მდგომარეობას ახასიათებს, როგორც „უღრესად მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისს ბრაზილიის ისტორიაში".

რადიოთი სამართავი ტრაქტორის მოქმედების გამოცდა

პარიზი, 2 სექტემბერი. (საკდეს). როგორც პარიზის რადიო გადმოგვცემს, ინგლისის ავიაციის სამმა ექსპერტმა 6 ჰექტარი ფართობი მოხნა რადიოთი სამართავი ტრაქტორით. ტრაქტორზე დადგმული იყო ისეთივე აპარატი, როგორსაც სდგამენ რადიოთი სამართავ თვითმფრინავებზე. მოქმედების ადგილიდან დაახლოებით 100 მეტრის მანძილზე მდგომ სატვირთო მანქანაში მყოფი კაცი მართავდა ტრაქტორის მოძრაობას. ტრაქტორმა 10 კვალი 10 წუთში გაავლო. თვითეული კვალის სიგრძეა 15 მეტრი.

სპეციალისტთა აზრით, რომლებიც ცდას ხელმძღვანელობდნენ, ფერმერებს შეუძლიათ ერთსა და იმავე დროს მართონ ერთი მინდვრის ხვნაზე მომუშავე 6 ტრაქტორის მოძრაობა ისე, რომ მათზე არ იმოქმედებს ცუდი ამინდი, არ იგრძნობენ დაღლილობას და ხვნას რეკორდულ დროში შეასრულებენ.

პარიზის საზავო კონფერენციაზე

პარიზი, 2 სექტემბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს მუშაობას განაგრძობდნენ საზავო ხელშეკრულებათა პროექტების განსახილველად კონფერენციის მიერ შექმნილი კომისიები.

იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისია დღეს უნდა შესდგომოდა საზავო ხელშეკრულების მე-3 მუხლის განხილვას— იტალიისა და იუგოსლავიის შორის საზღვრის შესახებ. სანამ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წინადადებების, აგრეთვე სხვადასხვა დელეგაციების მიერ გაკეთებული შენიშვნების შესწავლას შეუდგებოდნენ, გადაწყდა მოესმინათ იტალიის დელეგაციის გამოსვლა ამ საკითხზე.

იტალიის იმპერიალიზმის ადვოკატი საზავო კონფერენციის ტრიბუნაზე

როცა თავმჯდომარემ გამოაცხადა, იტალიის თვალსაზრისს იტალია-იუგოსლავიის საზღვრის შესახებ ბონომი გამოთქვამსო, სხდომის ბევრი მონაწილე გაკვირვებული დარჩა: ძველი იტალიის ერთ-ერთი წამყვანი დიპლომატის, იტალიელ იმპერიალისტთა ინტერესების ერთგული და თავდადებული მსახურის ბონომის სახელი თავისთავად მეტყველებს. ჯერ კიდევ 1911 წელს იტალიელმა სოციალისტებმა პარტიიდან გააძევეს იგი იმისათვის, რომ აქტიურად უჭერდა მხარს იტალიის დამპყრობლურ ომს ლიბიაში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბონომი ყველა ღონისძიებას ხმარობდა, რომ სლავური მიწა-წყლის რაც შეიძლება მეტი ნაჭერი წაეგლიჯა დარღვეული ავსტრია-უნგრეთის მემკვიდრეობიდან. ეს ღონისძიებები წარმატებით დაგვირგვინდა რაპალოში ვაჭრობის შედეგად, რომლის აქტიური მონაწილეც ბონომი იყო, იტალიამ მიიღო იულიის კრაინა. და აი ახლა, ბონომი „ახალი", „დემოკრატიული" იტალიის წარმომადგენლად გამოდის.

მართალია, მუსოლინის ბატონობის წლებში ბონომი დროებით ჩამოშორებული იყო საქმეებს, მაგრამ ამ წლებში მას, როგორც იტყვიან, არაფერი დავიწყნია და ვერაფერი უსწავლია. და ის დეკლარაცია, რომელიც მან დღეს იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიაში გააკეთა, გაისმა როგორც ბალკანეთში იტალიის იმპერიალისტური ექსპანსიის აშკარა ქადაგება, რომელსაც ფაშისტები ორივე ხელს მოაწერდნენ.

ბონომიმ იმით დაიწყო, რომ სცადა თავდაყირა დაეყენებინა საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული ფაქტები. იგი დაუსაბუთებლად აცხადებდა, თითქოს იტალიელი ხალხი, „დანტეს ეპოქიდან დაწყებული". იულიის კრაინას განიხილავდა როგორც იტალიის განუყრელ ნაწილს. ბონომს ისიც კი არ შერცხვა, რომ დაიმოწმა იტალიის გამოჩენილი დემოკრატი ჯუზეპე მაძინი, თუმცა კომისიის ყველა მონაწილეს ახსოვს მაძინის ამომწურავი აზრები ამ საკითხის შესახებ, რომლებიც უკვე არაერთხელ იყო მოყვანილი კონფერენციაზე. როგორც ცნობილია, მაძინი თანმიმდევრულად იბრძოდა იმისათვის, რომ იტალიას პატივი ეცა სლავთა ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისათვის, და პირდაპირ მიუთითებდა, იტალიელებმა თავიანთი გავლენა მდინარე სოჩას შესართავს იქით არ უნდა გაავრცელონო.

შემდეგ, ბონომი ცდილობდა წარმოედგინა იმპერიალისტური იტალია... სლავების განმათავისუფლებლად 1914-1918 წლების ომში. გასაგები მიზეზებით, მან დუმილით აუარა გვერდი ლონდონის 1915 წლის საიდუმლო შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც იტალია თანხმდებოდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყო მხოლოდ ბალკანეთში ტერიტორიულ დაპყრობათა გულისათვის. როგორც ცნობილია, ლონდონში იტალიას დაპირდნენ არა მარტო იულიის კრაინას, არამედ ისეთ ძველისძველ სლავურ მხარესაც, როგორიც არის დალმაცია. მართალია, შემდეგ, იტალიის სკანდალურ სამხედრო დამარცხებათა გამო, საიდუმლო შეთანხმების ავტორებმა ნაწილობრივ უკან წაიღეს თავისი დაპირება, მაგრამ იტალიამ მაინც ჩამოგლიჯა იუგოსლავიას იულიის კრაინა. და ყოველივე ამის შემდეგ ბონომის უტიფრობა ჰყოფნის პათოსით განაცხადოს, რომ „ომში იტალიის ჩაბმის ერთადერთი მიზანი იყო გაეთავისუფლებინა იტალიელი ხალხის ძმები იულიის კრაინაში და დახმარებოდა სლავებს მათი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში"!

ბონომი ცდილობდა რაპალოს შეთანხმება იულიის კრაინის შესახებ წარმოედგინა... იტალიისა და იუგოსლავიის შორის საზღვრების საკითხების კეთილმობილურ მშვიდობიან მოწესრიგებად სხვა სახელმწიფოების შუამავლობის გარეშე. მაგრამ ხომ მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ეს შეთანხმება თავს მოახვიეს იუგოსლავიას, რომ იტალია თავის მოთხოვნებში ლონდონის საიდუმლო შეთანხმებას ეყრდნობოდა, რომ მის მოთხოვნებს ზურგს უმაგრებდა ისეთი ფაქტორი, როგორიც იყო იუგოსლავიის ტერიტორიის ოკუპაცია იტალიის ჯარების მიერ, რომლებიც ლიუბლიანამდე მივიდნენ.

ასეთი ფსევდო-ისტორიული ექსკურსების შემდეგ ბონომი გადავიდა იტალიის მთავრობის ახლანდელი პროგრამის გადმოცემაზე. დამახასიათებელია, რომ მან ამ პროგრამის გადმოცემა დაიწყო შენიშვნებით საზავო ხელშეკრულების პროექტით წამოყენებული იტალია-იუგოსლავიის საზღვრის სტრატეგიული ხასიათის შესახებ, რომ ეს საზღვარი ხელსაყრელი არ არის იტალიისათვის სამხედრო თვალსაზრისით. შემდეგ, ბონომიმ სცადა ეკონომიურად დაესაბუთებინა იტალიის პრეტენზიები ძველისძველ სლავურ მხარეზე. მაგრამ ეს „დასაბუთება" იმდენადვე არადამაჯერებელი იყო, რამდენადაც მის მიერ ისტორიის დამოწმება.

ბონომიმ, მაგალითად, განაცხადა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ახალი რკინიგზის გაყვანა ტრიესტიდან ჩრდილოეთისაკენ. ამ ნავარაუდევი რკინიგზის ტრასამ უნდა გაიაროს მხოლოდ-მხოლოდ სლოვენებით დასახლებულ ტერიტორიაზე. თითქოს ასეთი გზის გაყვანის მიზანშეწონილობისა თუ მიზანშეუწონლობის საკითხი იუგოსლავიის მთავრობის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს. მაგრამ ბონომი წინ გარბის და ამტკიცებს, სამართლიანი არ იქნება საშუალება მიეცეთ იუგოსლავებს ტრიესტისაკენ მიმავალი ორი რკინიგზით ისარგებლონ, მაშინ როცა იტალიის ხელში მხოლოდ ერთი რკინიგზაა. აქედან მას გამოჰყავს ის, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური და სრულიად მოულოდნელი დასკვნა, რომ ეს რაიონი იტალიას უნდა გადაეცესო.

ასეთი „არგუმენტების" გამოყენებით ბონომმა პრეტენზიები განაცხადა მნიშვნელოვან ტერიტორიებზე, რომლებიც ძველისძველ სლოვენურ ქვეყნებს ეკუთვნიან. იგი ლიტონი სიტყვებით უარჰყოფდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ შექმნილი ექსპერტთა კომისიის წარმოდგენილ მოსაზრებებს და იქამდე მივიდა, რომ მოითხოვა, რათა კონფერენციამ შექმნას ახალი კომისია და მას დაავალოს იტალია-იუგოსლავიის საზღვრის საკითხის ხელახლა განხილვა.

რაც შეეხება ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების პროექტს, ბონომი დაჟინებით მოითხოვდა, რომ იგი მნიშვნელოვნად გაფართოვდეს იუგოსლავიის მიწა-წყლის ხარჯზე, ნავსადგურ პოლას ჩათვლით.

ავსტრალიის დელეგაციის მარცხი

კომისიაში გადაწყდა შემდეგი სხდომისათვის გადაედოთ იტალია-იუგოსლავიის საზღვრის საკითხის შემდგომი განხილვა, რათა კომისიის წევრებს შესაძლებლობა მიეცეთ უფრო ყურადღებით გაეცნონ იტალიის განცხადების ტექსტს. შემდეგ კომისია გადავიდა ტერიტორიულ დადგენილებათა მეორე კარის განხილვაზე, რომელიც იტალიისა და საფრანგეთის ურთიერთდამოკიდებულებებს შეეხება.

ამ მუხლების განხილვა საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა, ვინაიდან არავის არ ჰქონდა არც ამ მუხლების საწინააღმდეგო მოსაზრებანი, არც შენიშვნები და არც შესწორებანი. ამ გარემოებამ, ეტყობა, შეაწუხა ავსტრალიის დელეგაციის წარმომადგენლები, რომლებსაც, როგორც ჩანს, თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ გულმოდგინედ აბნიონ და შეაფერხონ თითეული საკითხის განხილვა.

და აი ავსტრალიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ბიზლიმ ნაჩქარევად გადაფურცლა მე-9 მუხლის დანართი იმ გარანტიების შესახებ, რომლებიც საფრანგეთმა უნდა მისცეს იტალიას მონ-სენის ტბიდან ჰიდროელექტრობის გამოსამუშავებლად მიღებული წყლის ენერგიის, აგრეთვე გრან სკალის ჰიდროელექტროსადგურზე გამომუშავებული ელექტროენერგიისათვის, და საჩქაროდ მოითხოვა სიტყვა.

მან ერთიმეორის მიყოლებით წაიკითხა ამ დანართის ორი მუხლი, რომლებიც არაფრით არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ერთ მუხლში ლაპარაკია იმაზე, რომ საფრანგეთი იტალიის ანგარიშზე გასწევს კაშხალისა და იმ წიაღსქვეშა მილსადენის რემონტისა და ექსპლოატაციის ხარჯებს, რომლითაც მონ-სენის ტბიდან წყალი მიდის იტალიის ტერიტორიაზე არსებულ ჰიდროელექტროსადგურში. მეორე მუხლში ლაპარაკია იმაზე, რომ საფრანგეთი გადაახდევინებს იტალიას იმ ელექტროენერგიის ქირას, რასაც გამოიმუშავებს გრან სკალის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც საფრანგეთის ტერიტორიაზეა.

ბიზლიმ ეს საკითხები ერთმანეთში აურია და აწეული ტონით განაცხადა, თითქოს მინისტრების საბჭოს პროექტი საფრანგეთს შესაძლებლობას აძლევს ორჯერ მიიღოს ფული ერთისა და იმავეში, რამდენადაც ელექტროენერგიის ქირა საექსპლოატაციო ხარჯებს უნდა შეიცავდესო.

საფრანგეთის წარმომადგენელმა განუმარტა ავსტრალიელ დიპლომატს, რომ ერთ მუხლში ლაპარაკია იმ წყლით სარგებლობის ანაზღაურებაზე, რომლითაც იტალიის ჰიდროსადგურები მარაგდებიან, ხოლო მეორეში — იმ ელექტროდენით სარგებლობის ანაზღაურებაზე, რომელსაც საფრანგეთის ჰიდროსადგური გამოიმუშავებს.

სიტყვა აიღო საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა ვიშინსკიმ. მან კომისიის წევრთა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ავსტრალიის დელეგატს, როგორც ჩანს, საჭიროდ არ მიაჩნია წინასწარ გაერკვეს იმ მუხლების ტექსტში, რომლებზეც მას თავისი შენიშვნები და შესწორებანი შემოაქვს.

— ეს მაგალითი ძალიან კარგად გვიჩვენებს, რომ ჩვენი მუშაობა გაცილებით უფრო წარმატებით წავიდოდა, რომ, სანამ ესათუის დელეგაცია შეკითხვებს შემოიტანდეს, იგი ყურადღებით ეცნობოდეს ტექსტს, — სთქვა ვიშინსკიმ. —მართლაც, — უყურადღებობა იქამდე მიდის, რომ აქ, როგორც დაინახეთ, წყალსა და ელექტროდენს ერთმანეთში ურევენ, არ არჩევენ, რაშია საქმე, საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოსთქვამენ, საკითხებს აყენებენ, მუშაობას ხელს უშლიან. მე ვფიქრობ, რომ თავმჯდომარემ უნდა განმარტოს, ხოლო თუ ეს თავმჯდომარისათვის უხერხულია, მზად ვარ ნათქვამს დავაჯერდე, — განმარტოს, რომ არ უნდა შემოჰქონდეთ უქმი შეკითხვები, არამედ ყურადღებით უნდა ეპყრობოდნენ ჩვენს განკარგულებაში არსებულ მასალებს.

რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის ეკონომიურ საკითხთა კომისიაში

პარიზი, 2 სექტემბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის ეკონომიურ საკითხთა კომისია დღეს განიხილავდა რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის 23-ე მუხლს, რომელიც შეეხება გაერთიანებული ერებისათვის კუთვნილი ქონების რესტიტუციას, ე. ი. დაბრუნებას. ამ მუხლის მეორე პარაგრაფისათვის, რომელიც აზუსტებს, თუ რა საკუთრება უნდა დაუბრუნოს რუმინეთმა გაერთიანებულ ერებს, შემოვიდა პოლონეთის დელეგაციის შესწორება. პოლონეთის დელეგაცია წინადადებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას საკუთრების ახალი კატეგორია, რომელზეც უნდა გავრცელდეს რესტიტუცია. საქმე ეხება იმ საკუთრებას, რომელიც რუმინეთში შეიტანეს პოლონეთის ჯარებმა და კერძო პირებმა 1939 წლის სექტემბერში და რომლის კონფისკაციაც რუმინეთის წინანდელმა ხელისუფლებმა მოახდინეს. პოლონეთის დელეგატმა აღნიშნა, რომ იმ დროს რუმინეთში პოლონეთიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით შეტანილ იქნა ორთქლმავლები, სატვირთო ავტომანქანები, სხვადასხვა სამხედრო მასალები, ბევრი ოქრო და სხვა.

ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს პოლონეთის წინადადებას და აღნიშნეს, რომ იგი სავსებით დასაბუთებული და სამართლიანია. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გუსევმა აზრი გამოსთქვა პოლონეთის დელეგაციის წინადადების მიღების სასარგებლოდ, მაგრამ აღნიშნა, რომ უფრო სწორი იქნებოდა სათანადო შესწორება შეეტანათ ხელშეკრულების 24-ე მუხლში, რომელშიც ლაპარაკია გაერთიანებული ერების კანონიერ უფლებათა და ინტერესთა აღდგენასა და მათთვის კუთვნილი საკუთრების დაბრუნებაზე. ამ აზრს დაეთანხმნენ საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის წარმომადგენლები, აგრეთვე პოლონეთის დელეგატი.

შემდეგ კომისიამ ერთხმად მოიწონა 23-ე მუხლის ორივე პარაგრაფი.

ავსტრალიის დელეგატმა შესწორება შეიტანა სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული „რუმინული ლიტერატურულ-მხატვრული და რელიგიური ხასიათის საკუთრების" რუმინეთისათვის დაბრუნების საკითხზე. ამ შესწორების განხილვის პროცესში ავსტრალიის დელეგატმა განაცხადა, რომ იგი მზად არის დროებით მოხსნას ეს შესწორება და გადასდოს იგი შემდეგი მუხლების განხილვამდე.

ამრიგად, რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის 23-ე მუხლი კომისიამ ერთხმად მოიწონა.

იტალიის სამხედრო ხომალდების საკითხის გადაწყვეტა

პარიზი, 2 სექტემბერი (საკუთარი სპეც. კორ.). სამხედრო კომისია დღეს განაგრძობდა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების მუხლების განხილვას. ამ ხელშეკრულების 48-ე მუხლი ითვალისწინებს იტალიის ზედმეტი სამხედრო ხომალდების საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობების განკარგულებაში გადაცემას.

ავსტრალიის დელეგაციამ ამ მუხლისთვისაც წამოაყენა თავისი შესწორება. იგი რჩევას იძლეოდა საკითხი იტალიის ზედმეტი სამხედრო ხომალდების შესახებ განსახილველად გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, ხოლო თუ უშიშროების საბჭო სამი თვის განმავლობაში არავითარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ხომალდები უნდა მოისპოსო.

ავსტრალიის დელეგაცია ამაოდ ცდილობდა დაესაბუთებინა თავისი უსამართლო და არაგონივრული წინადადება აბნეული მსჯელობით სამართლიანობის შესახებ. სსრ კავშირის, უკრაინის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა აზრი გამოსთქვეს ავსტრალიის შესწორების წინააღმდეგ და რჩევა მისცეს კომისიას მიიღოს იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის 48-ე მუხლი იმ რედაქციით, როგორც იგი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ წამოაყენა. კენჭისყრის შედეგად ავსტრალიის შესწორება უარყოფილ იქნა 15 ხმის უმრავლესობით სამის წინააღმდეგ.

რეპარაციების საკითხის გართულებისა და მისი გადაწყვეტის ჩაშლის კიდევ ერთმა ცდამ მარცხი განიცადა

პარიზი, 2 სექტემბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბრიტანეთის ოთხი დომინიონის—ავსტრალიის, კანადის, სამხრეთ აფრიკისა და ახალი ზელანდიის — დელეგაციების დაჟინებულმა ცდებმა ჩაეშალათ საბჭოთა კავშირისათვის იტალიისა და რუმინეთისაგან კუთვნილი რეპარაციები, სრული მარცხი განიცადა. საზავო კონფერენციის კომისიებში მოწონებულ იქნა საზავო ხელშეკრულებათა პროექტების ის მუხლები, რომლებითაც განსაზღვრულია სსრ კავშირის სასარგებლოდ გადასახდელი რეპარაციების თანხები და აღნიშნულია ის წყაროები, საიდანაც ეს რეპარაციები უნდა დაიფაროს.

მაგრამ, ერთ საკითხში რომ დამარცხდა, ავსტრალიის დელეგაციამ სცადა მაშინვე აელო რევანში. მან კვლავ წამოაყენა წინადადება იტალიისათვის სარეპარაციო კომისიის შექმნის შესახებ, ამასთან ამჯერად მისი წინადადება ჩამოყალიბებული იყო კიდევ უფრო აბნეულად. ავსტრალიის დელეგაციამ წინადადება წამოაყენა შემოღებულ იქნას ისეთი წესი, რომლითაც საქმე იმით განისაზღვრებოდა, რომ სარეპარაციო კომისიას უნდა გაეწია იტალიის მთავრობის წარმომადგენლობა და მაგიერობა. ავსტრალიის დელეგაციის მიერ წამოყენებულ შესწორებაში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა კავშირისათვის მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა და სახეები უნდა გახდეს არა იტალიის მთავრობასა და სსრ კავშირის მთავრობას შორის შეთანხმებათა, როგორც წინადადებას იძლევა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, არამედ სსრ კავშირის მთავრობასა და თვით სარეპარაციო კომისიას შორის შეთანხმებათა საგანი.

ამ უცნაურმა წინადადებამ გადამწყვეტი წინააღმდეგობა გამოიწვია საბჭოთა კავშირის დელეგაციისა და მთელი რიგი სხვა დელეგაციების მხრივ. მაგრამ ავსტრალიის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვდა, რომ ეს წინადადება განხილულიყო, და იტალიის ეკონომიურ საკითხთა კომისია დღეს იძულებული გახდა მთელი სხდომა მოენდომებინა ახალი დისკუსიისათვის.

პირველმა სიტყვა აიღო საბჭოთა კავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა ვიშინსკიმ. თავის მკაფიო სიტყვაში მან თვალნათლივ ცხადჰყო, თუ რამდენად უაზრო და უშინაარსოა ავსტრალიის დელეგაციის ახალი წინადადება.

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა იმ შესწორების შესახებ, რაც ავსტრალიის დელეგაციამ იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის 64-ე მუხლის მესამე პუნქტის გამო გააკეთა. ამ პუნქტში ნათქვამია, რომ რეპარაციების წესით მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა და სახეები უნდა იყოს სსრ კავშირის მთავრობასა და იტალიის მთავრობას შორის შეთანხმების საგანი და რომ ამ საქონლის ამორჩევა და მიწოდებათა განაწილება დროის მიხედვით ხდება ისე, რომ ამან ხელი არ შეუშალოს იტალიის ეკონომიურ რეკონსტრუქციას და არ შეუქმნას დამატებითი ვალდებულებანი მოკავშირე და შეერთებულ სახელმწიფოებს. ავსტრალიის შესწორება, რომელიც ძლიერ მოკლედ მოიყვანა ავსტრალიის დელეგატმა, წინადადებას იძლევა შეიცვალოს სიტყვები იმის შესახებ, რომ შეთანხმება დადებულ უნდა იქნას საბჭოთა მთავრობასა და იტალიას შორის, სიტყვებით იმის შესახებ, რომ შეთანხმება დადებულ უნდა იქნას საბჭოთა მთავრობასა და სარეპარაციო კომისიას შორის.

მე არ შემიძლია დავფარო ჩემი გაოცება ამ გამოსვლის გამო. მე რამდენჯერმე დავუბრუნდი შესწორების ტექსტს, ვიხსენებდი იმას, რაც აქ ილაპარაკა ავსტრალიის დელეგატმა და ვფიქრობდი, აქ რაიმე გაუგებრობა ხომ არ ეფარება-მეთქი. მე ჯერ კიდევ ამ შთაბეჭდილების ქვეშ ვიმყოფები და ველი, რომ ავსტრალიის დელეგატი გამოვა და იტყვის, რომ ეს გაუგებრობაა, რომ ეს შესწორება არსებითად უშინაარსოა და იმ ურთიერთობის მთელ პერსპექტივას ამახინჯებს, რომელიც სარეპარაციო საკითხებში შეიქმნა და რომელიც დამყარებულ უნდა იქნას დამარცხებულ ქვეყნებსა და გამარჯვებულ ქვეყნებს შორის.

მართლაც, დღემდე, როგორც ეს ისტორიაში იყო, რეპარაციების გადახდევინების ნაწილში ურთიერთობის აგება ხდებოდა ერთადერთ შესაძლო საფუძველზე: გამარჯვებული წარუდგენდა მოთხოვნებს, დამარცხებული ამ მოთხოვნებს შეასრულებდა; გამარჯვებული წარუდგენდა თავის პრეტენზიებს, რომლებითაც დამარცხებულს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებდა, ხოლო დამარცხებული ამ პრეტენზიებს შესასრულებლად იღებდა და ვალდებულებათა შესრულებისათვის პასუხისმგებლობას კისრულობდა. ამ საკითხში სხვა ურთიერთობა გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს შორის არ შეიძლება არსებობდეს. სწორედ ეს ფაქტი, რომელიც საფუძვლად უდევს გამარჯვებულ სახელმწიფოსა და დამარცხებულ სახელმწიფოს შორის უფლებრივ ურთიერთობას, წარმოადგენს ერთსა და მეორე მხარეს შორის შეთანხმების საგანს. არის ორი მხარე—მაძიებელი და მოპასუხე, გამარჯვებული და დამარცხებული, და მათ შორის შეთანხმება დადებულ უნდა იქნას იმ ვალდებულებათა შესახებ, რომლებსაც ერთი მხარე მეორე მხარის წინაშე კისრულობს. სულ სხვა საკითხია—მაძიებელი ერთია თუ რამდენიმე,—იურისტისათვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს. ეს პრობლემას წარმოადგენს პირველი კურსის სტუდენტისათვის, რომელიც ახლახან იწყებს სამართლის შესწავლას.

მაგალითისათვის ავიღოთ ვერსალის ხელშეკრულება. საბჭოთა კავშირი არ მონაწილეობდა ვერსალის ხელშეკრულების მომზადებასა და ხელმოწერაში და პასუხისმგებელი არ არის მისთვის. მაგრამ ამ შემთხვევაში მე მივმართავ ფაქტიურ მასალას, რომელსაც ეს ხელშეკრულება შეიცავს. ვერსალის ხელშეკრულება ითვალისწინებდა სარეპარაციო კომისიის შექმნას. ამ საკითხისადმია მიძღვნილი, როგორც თქვენ, ალბათ, გახსოვთ, ვერსალის ხელშეკრულების რამდენიმე მუხლი (231, 232 და სხვ. მუხლები). მივმართოთ ამ დოკუმენტებს იმისათვის, რათა ისტორიიდან, ე. ი. წარსულიდან, მივიღოთ რამდენიმე ცნობა აწმყოს შესაფასებლად და ჩვენი მომავლის დასასაბუთებლად. თქვენ დაინახავთ, რომ მაშინ, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, სარეპარაციო კომისია გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენელთაგან შესდგებოდა. ამ კომისიის—გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენლის — წინაშე გერმანია—დამარცხებული ქვეყანა— პასუხისმგებელი იყო სარეპარაციო ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ვერსალის ხელშეკრულების მეოთხე დამატებაში ჩამოთვლილია გერმანიის კონკრეტული ვალდებულებანი. მე-6 პარაგრაფში თქვენ ნახავთ იმ კონკრეტული საქონლის ნუსხას, რომელიც გერმანიას გამარჯვებული ქვეყნებისათვის ავანსის სახით უნდა მიეწოდებინა. აქ, კერძოდ, ნათქვამია, რომ გერმანია ვალდებულებას კისრულობს ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ სამი თვის განმავლობაში ჩააბაროს ცოცხალი პირუტყვის გარკვეული რაოდენობა სულობით: საფრანგეთის მთავრობას— 5 ათასი ულაყი, არდენული, ბულონური, ბელგიური ჯიშის 300 ათასი ძროხა, 2 ათასი ხარი, 90 ათასი მეწველი ძროხა, 100 ათასი ცხვარი და სხვა. ბელგიის მთავრობისათვის მას უნდა მიეცა ნაკლები ულაყები, ნაკლები ძროხები, ნაკლები ცხვრები და თხები. მაგრამ ის, რაც რეპარაციების ანგარიშში უნდა ყოფილიყო გადახდილი, ძლიერ გარკვეულად იყო გამსაზღვრული. მილიონობით ტონა ქვანახშირის მიწოდების შესახებ ლაპარაკი იყო V დამატებაში, მღებავ ნივთიერებათა შესახებ —VI დამატებაში. სარეპარაციო კომისიას ისღა რჩებოდა, რომ თვალყური ედევნებინა იმ კონკრეტულ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რომლებსაც ხელშეკრულებით კისრულობდა გერმანია, როგორც დამარცხებული ქვეყანა, გამარჯვებული ქვეყნების წინაშე.

ასე იყო ისტორიაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. განა საჭიროა ამაზე ლაპარაკი, რომ სარეპარაციო კომისიას არ ჰქონია არავითარი სხვა ფუნქციები, გარდა გერმანიის მიერ სარეპარაციო ვალდებულებათა შესრულებისადმი კონტროლის ფუნქციებისა, და, რა თქმა უნდა, გამარჯვებულ ქვეყნებს სარეპარაციო კომისიასთან არავითარი შეთანხმება არ დაუდვიათ და ვერც დასდებდნენ, ვინაიდან ეს უაზრობა იქნებოდა. ავსტრალიის დელეგაციამ კი გაბედა სწორედ ასეთი უაზრობა შეეთავაზებინა კონფერენციისათვის.

როგორია ახლა საქმის ვითარება? ჩვენ უკვე გვაქვს გამოცდილება, და საკმაოდ დიდი გამოცდილება. ავიღოთ მაგალითები საბჭოთა კავშირისა და რუმინეთისა, უნგრეთისა და ფინეთის შორის სარეპარაციო ურთიერთობის დარგიდან. საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის, საბჭოთა კავშირსა და უნგრეთს შორის, საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის დადებულია სასაქონლო შეთანხმება მათ შორის ურთიერთ თანხმობით და ურთიერთთან შეთანხმებით საქონლის გვარეობისა და რაოდენობის შესახებ, იმ ფასების შესახებ, რომლებშიც ეს საქონელი მიწოდებულ უნდა იქნას, მიწოდების ვადებისა და წესის შესახებ. ამ შეთანხმებათა მიხედვით რუმინეთმა, უნგრეთმა და ფინეთმა ერთგვარი ვალდებულებანი იკისრეს; მათ ისინი უნდა შეასრულონ და, უნდა ითქვას, ისინი მათ კეთილსინდისიერად ასრულებენ. ასე იქმნება უფლებრივი ურთიერთობა გამარჯვებულ საბჭოთა კავშირსა და დამარცხებულ ქვეყნებს—რუმინეთისა, უნგრეთისა და ფინეთს შორის.

ბოდიში უნდა მოვიხადო იმისათვის, რომ ასე დაწვრილებით ვლაპარაკობ ამ თემაზე, მაგრამ ვალდებული ვარ ეს გავაკეთო, ვინაიდან ავსტრალიის წინადადება ყველაფერს უკუღმა ატრიალებს, ყველა საგანს თავდაყირა აყენებს, ნაცვლად იმისა, რომ გამოიყენოს სარეპარაციო საქმეში უკვე არსებული გამოცდილება, ნაცვლად იმისა, რომ იაროს უკვე გარკვეული და ცნობილი გზით, ავსტრალიის დელეგაცია იგონებს სრულიად არარეალურ გეგმებსა და წინადადებებს, მავნე გეგმებსა და წინადადებებს. ჩვენ გვთავაზობენ ხელშეკრულების პროექტში შევიტანოთ ისეთი შესწორება, რომლის თანახმადაც შეთანხმებანი დადებულ უნდა იქნას არა საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის, არამედ საბჭოთა კავშირსა და სარეპარაციო კომისიას შორის. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, სარეპარაციო მიწოდებათათვის პასუხისმგებელი იქნება არა იტალია, არა იტალიის მთავრობა, როგორც ეს უნდა იყოს და არც შეიძლება არ იყოს, არამედ პასუხისმგებელი იქნება სარეპარაციო კომისია. საბჭოთა კავშირმა თავისი პრეტენზიები უნდა წარუდგინოს არა იტალიას, არამედ სარეპარაციო კომისიას, საბჭოთა კავშირმა გადასახდელები უნდა გადაახდევინოს არა იტალიას და იტალიის მთავრობას, არამედ სარეპარაციო კომისიას. ეს როგორ იქნება? ერთხელ კიდევ გეკითხებით—ეს როგორ იქნება?

სარეპარაციო კომისია არ შეიძლება იყოს იტალიის მთავრობის მოადგილე. იტალიის მთავრობას არ შეუძლია ხელი აიღოს თავის პასუხისმგებლობაზე და ეს პასუხისმგებლობა სარეპარაციო კომისიას გადააკისროს. თუ დავუშვებთ, რომ სარეპარაციო კომისია შექმნილ იქნება,—ეს განსაკუთრებული საკითხია, რომლის გაშუქებასაც მე შევეცდები ცალკე და საბჭოთა პოზიციის ჩამოვაყალიბებ,—ყოველ შემთხვევაში სარეპარაციო კომისიის ფუნქციებში ვერ შევა ის ამოცანები, რომლების მისთვის თავზე მოხვევას ცდილობს ავსტრალიის დელეგაცია. სარეპარაციო კომისია ხომ არ იქნება პასუხისმგებელი გამარჯვებულთა წინაშე, რომლებიც რეპარაციებს მოითხოვენ და ახდევინებენ, არამედ იტალია!

ფორმულაში, რომელსაც ავსტრალიის დელეგაცია გვთავაზობს, ადგილი არ რჩება იტალიის მთავრობისათვის; იტალიის მთავრობა გაქრა მხედველობის არედან. შესწორების ავტორები ერთ მხარეს აყენებენ საბჭოთა კავშირს, მეორე მხარეს—სარეპარაციო კომისიას. იმის ცხადსაყოფად, თუ რაოდენ უშინაარსო და უაზროა ეს შესწორება, საჭიროა გავითვალისწინოთ სწორედ ის, თუ მათი წინადადებით ვისგან უნდა იყოს შექმნილი სარეპარაციო კომისია. სარეპარაციო კომისია, ავსტრალიის დელეგატის წინადადებით, უნდა შესდგებოდეს ოთხი დიდი სახელმწიფოს და სამი სხვა დაინტერესებული ქვეყნის წარმომადგენელთაგან. მერე რა გამოვა? გამოვა ის, რომ რეპარაციების გადამხდევინებელმა სახელმწიფოებმა მათთვის საქონლის მიწოდების შესახებ შეთანხმებანი უნდა დასდონ... სარეპარაციო კომისიასთან, ე. ი. თავიანთ საკუთარ წარმომადგენლებთან! ამ შემთხვევაში, რომელიც საბჭოთა კავშირს ეხება, საქმის გარემოება, ავსტრალიის წინადადების თანახმად, ასეთი უნდა იყოს: საბჭოთა კავშირმა სარეპარაციო მიწოდებათა შესახებ შეთანხმება უნდა დასდოს კომისიასთან, რომლის წევრიც სსრ კავშირის წარმომადგენელი იქნება! იტალიის მთავრობა სადღა არის? იტალიის ვალდებულებები სად არის? იტალიის პასუხისმგებლობა სად არის? საკმარისია დავაყენოთ ეს კითხვები, რომლებზეც პასუხს არ იძლევა ავსტრალიის წინადადება, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ ეს წინადადება მოკლებულია ყოველგვარ აზრს, რომ იგი მავნე წინადადებაა.

მე წინადადებას [illegible] ვიშინსკიმ, [illegible] დელეგაციის ეს წინადადება [illegible] წინადადება, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ შემუშავებულ პროექტშია მოყვანილი.

შემდეგ გამოსულმა ბელორუსიის წარმომადგენელმა ფესკომ დააყენა საკითხი ავსტრალიის დელეგაციის დაუშვებელი ტაქტიკის შესახებ, რომელმაც ყველა კომისია თავისი შესწორებებით აავსო და სისტემატურად აფერხებს ნორმალურ მუშაობას. „დროის ნახევარს ჩვენ ვხარჯავთ ავსტრალიის შესწორებათა განხილვაზე,—სთქვა ფესკომ,—როდესაც ამ წინადადებებს უარჰყოფენ, ავსტრალიის წარმომადგენლები კვლავ და კვლავ ცდილობენ მოგვახვიონ თავს თავიანთი სრულიად აბსურდული შესწორებანი". ბელორუსიის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ავსტრალიის დელეგაციის ახალი შესწორება წარმოადგენს ავსტრალიის წარმომადგენლის იმ წინადადების მორიგ ვარიანტს, რომელიც უკვე უარყოფილ იქნა. ავსტრალიის დელეგაციის წინადადების განხორციელება გამოიწვევდა სარეპარაციო კომისიის უხეშ ჩარევას იტალიის საშინაო საქმეებში და ამიტომ იგი უარყოფილ უნდა იქნას.

კანადის დელეგაციის უხეში მანევრი

კანადის დელეგაციის წარმომადგენელმა განაცხადა, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა და სახეები განსაზღვრულ უნდა იქნას იტალიისა და სსრ კავშირის ორმხრივი შეთანხმებით,—ატლანტის ქარტიას ეწინააღმდეგებაო. ამასთან მან განაცხადა, რომ ორმხრივი შეთანხმება იტალიის ეკონომიკას თითქოს დამოკიდებულს გახდიდა რომელიმე სხვა სახელმწიფოსაგან.

მაგრამ ატლანტის ქარტიის მე-4 მუხლში, რომელზეც კანადის წარმომადგენელმა მიუთითა, ლაპარაკია არა გამარჯვებული და დამარცხებული ქვეყნების ურთიერთობაზე, არამედ მოკავშირე და შეერთებულ ერებს შორის ურთიერთობაზე; მაგრამ კანადის დელეგატი, სჩანს, ფიქრობდა, რომ კომისიის წევრებს ხელთ არ ექნებოდათ ატლანტის ქარტია, და რომ უხეში დამახინჯება მას ჩაუვლიდა.

ხელმეორედ გამოსულმა ვიშინსკიმ გამოააშკარავა კანადის დელეგატის უხეში მანევრი. მან აღნიშნა, რომ მისი მითითება ატლანტის ქარტიაზე სრულიად უსაფუძვლოა. ვიშინსკიმ გაახსენა კომისიას, რომ ამ ქარტიის მე-4 მუხლის აზრი იმაში მდგომარეობს, რათა მესამე სახელმწიფომ ზარალი არ ნახოს სხვა სახელმწიფოთა შეთანხმებით.

— მაგრამ სწორედ ამ აზრმა ჰპოვა გამოხატულება საზავო ხელშეკრულების პროექტის 64-ე მუხლის მესამე პუნქტში, რომლის შესახებაც ილაპარაკა კანადის დელეგატმა,—სთქვა ვიშინსკიმ.—მე შემიძლია ერთხელ კიდევ წაგიკითხოთ ეს ადგილი: „საქონელი მისაწოდებლად არჩეულ უნდა იქნას და დროის მიხედვით განაწილდეს ისეთი გზით, რომ ხელი არ შეუშალოს იტალიის ეკონომიურ რეკონსტრუქციას და არ შეუქმნას დამატებითი ვალდებულებანი სხვა მოკავშირე ან შეერთებულ სახელმწიფოებს". რა არის აქ ატლანტის ქარტიის პრინციპის საწინააღმდეგო? მე ვამტკიცებ, რომ ამ პარაგრაფში მთლიანად გამოხატულია ატლანტის ქარტიის მიერ გამოცხადებული პრინციპის პატივისცემა. საწინააღმდეგოს დამტკიცება ვერ მოხერხდება.

შემდეგ ვიშინსკიმ კომისიას გაახსენა, რომ კომისიამ თავის დროზე უკვე უარჰყო ავსტრალიის დელეგაციის წინადადება რეპარაციების შესრულების მეთვალყურე კომისიის შექმნის შესახებ. ეს წინადადება თითქმის ერთხმად იქნა უარყოფილი. მაგრამ ის პროექტი უფრო ნათელი და ნაკლებ წინააღმდეგობათა შემცველი იყო, ვიდრე ავსტრალიის დელეგაციის დღევანდელი შესწორება. „თუ ჩვენ უარვყავით ის პროექტი, უფრო ნაკლებ უმართებულო,—სთქვა ვიშინსკიმ,—მე იმედი მაქვს, რომ ახლანდელ პროექტს—კიდევ უფრო აბნეულს, მავნესა და სრულიად მიუღებელს, ჩვენი კომისია უთუოდ უარჰყოფს".

შემდგომი მსჯელობის მსვლელობაში ავსტრალიის დელეგაციის წინადადებამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და ნათელი გახდა, რომ იგი ვერ შეაგროვებდა მიღებისათვის საჭირო ხმების რაოდენობას. მაშინ ავსტრალიის დელეგაციის წარმომადგენელმა იმ წამსვე განაცხადა, რომ იგი უფლებას იტოვებს ერთხელ კიდევ (მესამედ!) წამოაყენოს მომავალში წინადადება სარეპარაციო კომისიის შექმნის შესახებ. ავსტრალიის დელეგაციის წინადადებას კენჭი ეყარა და იგი უარყოფილ იქნა ხმების დიდი უმრავლესობით. შესწორებას ხმა მისცა მხოლოდ შვიდმა დელეგაციამ—ავსტრალიის, ბრაზილიის, კანადის, ეთიოპიის, საბერძნეთის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაციებმა. დანარჩენმა 13 დელეგაციამ ხმა მისცა ამ შესწორების წინააღმდეგ. ამის შემდეგ კომისიამ განიხილა საკითხი რეპარაციების საკითხზე იტალიის დელეგაციის მოსმენის წესის შესახებ, აგრეთვე იმ ქვეყნების დელეგაციათა მოსმენის წესის შესახებ, რომლებიც იტალიას სარეპარაციო პრეტენზიებს უდგენენ.

• • •

დღეს შესდგა აგრეთვე ბულგარეთის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიის სხდომები და უნგრეთისა და რუმინეთის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომა. მოსმენილ იქნა ბულგარეთისა და რუმინეთის დელეგაციების მოსაზრებანი საზავო ხელშეკრულებათა იმ მუხლების საკითხზე, რომლებიც აღნიშნულ სახელმწიფოთა საზღვრებს ადგენენ.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობის საბოლოო სხდომა

პარიზი, 2 სექტემბერი. (საკუთარი). გუშინ სოციალისტური პარტიის ყრილობაზე არჩეულ იქნა ახალი ხელმძღვანელი კომიტეტი. მის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.

წინანდელი შემადგენლობის ხელმძღვანელი კომიტეტის 31 წევრიდან ახალ ხელმძღვანელ კომიტეტში არჩეულია მხოლოდ 13 კაცი (ანდრე ფილიპი, დანიელ მეიერი, სოლომონ გრუმბახი, შარლ დეპრე, ტანგი—პრიჟანი და სხვ.). ძველი შემადგენლობის ხელმძღვანელი კომიტეტის 8 წევრმა მოხსნა თავისი კანდიდატურა ახალი შემადგენლობის ხელმძღვანელი კომიტეტის წევრობაზე და ამიტომ მათ კენჭი არ უყარეს. მათ შორის არიან ფელიქს გუენი, ვენსან ორიოლი, ლე ტროკერი, ჟულ მოკი და სხვ. ძველი ხელმძღვანელი კომიტეტის 9 წევრმა, რომლებმაც წამოაყენეს თავიანთი კანდიდატურა, ვერ მიიღეს არჩევისათვის საჭირო ხმების რიცხვი და ამიტომ არ შევიდნენ ხელმძღვანელი კომიტეტის ახალ შემადგენლობაში.

ძველი ხელმძღვანელი კომიტეტის 13 წევრს გარდა, ახალ კომიტეტში არჩეული არიან გი მოლე, პიერ ბლოკი, კაპოში (მოსამსახურეთა პროფკავშირის თავმჯდომარე), ლანსელი (სენის დეპარტამენტის სოციალისტური ფედერაციის მდივანი), რუსი (იმავე ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი), ტიქსიე (გაზეთ „ლიბერასიონ სუარის" რედაქტორი) და სხვ. ახალი შემადგენლობის ხელმძღვანელი კომიტეტის 31 წევრს შორის 16 გი მოლეს მომხრეა.

პარიზი, 3 სექტემბერი. (საკუთარი). 1 სექტემბერს საღამოს შემდგარ სოციალისტური პარტიის ყრილობის საბოლოო სხდომაზე მიღებულ იქნა საერთო რეზოლუცია, რომლის შინაარსი მოწმობს, რომ გი მოლეს ჯგუფმა, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ყრილობაზე, სრული კაპიტულაცია მოახდინა პარტიის მემარჯვენე ფრთის წინაშე. ყრილობის რეზოლუციაში გამოხატულება ჰპოვა ანდრე ფილიპის წინადადებამ სოციალისტებისა და კომუნისტების შემათანხმებელი კომიტეტის დაშლის შესახებ. ყრილობის საგარეო პოლიტიკის განყოფილება მთლიანად ემყარება ანდრე ფილიპის შეფასებასა და წინადადებებს, რაც მან გამოსთქვა ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში.

რეზოლუციის განყოფილება, რომელიც მიძღვნილია სოციალისტური პარტიისა და კომუნისტური პარტიის ურთიერთობისადმი, შეიცავს ჩვეულებრივ ცილისწამებას კომპარტიაზე, რაც გავრცელებულია იმისათვის, რომ გამართლებულ იქნას ორივე პარტიის ერთიანობაზე ხელისაღების კურსი. რეზოლუციის ამ ნაწილში ნათქვამია, რომ ამიერიდან მხოლოდ სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტი იქნება უფლებამოსილი დაამყაროს კონტაქტი, და მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებაში. პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და პროფკავშირულ მომიჯნავე ორგანიზაციებთან ერთობლივი მოქმედების მიზნით, ამასთან დასახულ უნდა იქნას სავსებით გარკვეული, დროებითი მიზნები.

იუგოსლავიის მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას

ბელგრადი, 3 სექტემბერი. (საკუთარი). დღეს პრესაში გამოქვეყნდა იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ნოტის შინაარსი. ეს ნოტა იუგოსლავიის საქმეთა რწმუნებულმა ვაშინგტონში გადასცა 30 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის მიერ იუგოსლავიის ტერიტორიაზე განუწყვეტელი გადაფრენების გამო.

— იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, — ნათქვამია ნოტაში, — კვლავ სთხოვს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას პასუხს, თუ რა გააკეთა მან იმისათვის, რომ შეწყდეს ნებადაურთველი და წინასწარ განზრახული გაფრენები ამერიკის სამხედრო და სამოქალაქო თვითმფრინავებისა იუგოსლავიის ტერიტორიაზე, და რა გარანტიების მოცემა შეუძლია მას, რომ მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდება. ეს საჭიროა რაც შეიძლება მალე, რადგან იმ შემთხვევის შემდეგაც, რასაც ადგილი ჰქონდა 19 აგვისტოს, ამ რაიონებში განახლდა ამერიკის თვითმფრინავების გადაფრენა იუგოსლავიის ტერიტორიაზე.

მარშალმა ტიტომ,—ნათქვამია შემდეგ ნოტაში, — თავის განცხადებაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ ბ-ნ პატერსონისადმი აღნიშნა, რომ მან აკრძალა სროლა აეტეხათ სატრანსპორტო და სხვა თვითმფრინავებისათვის, რომლებიც გადაფრინდებოდნენ იუგოსლავიის ტერიტორიაზე, ფიქრობდა რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავის მხრივ გადადგამდა საჭირო ნაბიჯს, რათა ხელი შეეშალა ამისათვის, რამდენადაც ეს აუცილებელი არ იქნება არახელსაყრელი ამინდის გამო, ხოლო ეს შეიძლებოდა დაწესებულიყო ამერიკის და იუგოსლავიის სამხედრო ხელისუფალთა მოლაპარაკების გზით.

იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის მთავრობა სთვლის, რომ მომავალში აღარ შეიძლება მოთმენა იუგოსლავიის სუვერენიტეტის წინასწარგანზრახული და უხეში დარღვევისა განსაკუთრებით სამხედრო თვითმფრინავების გადაფრენით ჩვენს ტერიტორიაზე, და მოითხოვს ამერიკის მთავრობისაგან სასწრაფოდ მიიღოს საჭირო ზომები, რათა მომავალში ხელი შეეშალოს ამას, ვინაიდან ეს აგრეთვე მეტად ვნებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და იუგოსლავიის კარგ ურთიერთობას და არასასურველ ინციდენტებს იწვევს.

ჩინეთის გაზეთი შანხაიში ამერიკელ ჯარისკაცთა ქცევის შესახებ

შანხაი, 2 სექტემბერი. (საკუთარი). როგორც გაზეთი „სინმინვანბაო" იუწყება, შანხაიში მყოფი ამერიკელი ჯარისკაცები მეტად ცუდად იქცევიან. ამერიკელები ლოთობენ და სცემენ ჩინელ სამოქალაქო მოსახლეობას. შანხაიში ძალიან ცოტა ჩინელია, რომელიც სიმპატიით ეპყრობა ამერიკელს.

ახალი სასწავლო წელი და ჩვენი ამოცანები

ვ. კუპრაძე
საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების მინისტრი

მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კულტურისა და მეცნიერების მძლავრ წინსვლას, დიდ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და ამასთან დაკავშირებით სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის შემდგომ გაფართოებასა და არსებითად გაუმჯობესებას.

ჩვენმა სკოლამ დიდი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა ქვეყნის შემდგომი განვითარების ძირითადი ამოცანების გადაწყვეტაში. ამიტომ სასწავლო წლის პირველი დღიდანვე მის მუშაობაში სრულფასოვანი რეჟიმი უნდა დამყარდეს. საქმე ეხება სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსის სრულ და ღრმა შესწავლას. ამ მხრივ არ იქნება დაშვებული არავითარი შეღავათი. ჩვენმა სკოლამ უკვე შარშან, ომისშემდგომი პერიოდის პირველ სასწავლო წელს, მიაღწია სერიოზულ წარმატებებს მოსწავლეთა ცოდნისა და ზოგადი კულტურის ამაღლების საქმეში. მაგრამ სკოლის მუშაობაში კვლავ შესამჩნევია ჩამორჩენა და ხარვეზები რამდენიმე ძირითადი მნიშვნელობის უბანზე: დაწყებით სკოლაში კურსდამთავრებული ყველა მოსწავლე ჯერ კიდევ ვერ არის წერა-კითხვას წიგნიერად დაუფლებული, კარგად ვერ წერს, არა აქვს გამომუშავებული ჩქარი კითხვის უნარი, არ გააჩნია საკმაო ლექსიკური მასალა. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ბევრ მოსწავლეს ღრმად არ ესმის შესწავლილი ლიტერატურული ნაწარმოები, მათი ნამდვილი შინაარსი, ისტორიულ მოვლენათა განვითარებაში კავშირი და კანონზომიერებანი, ბუნებისმეტყველების ძირითადი ცნებების შინაარსი, არ შეუძლია ფიზიკისა და ქიმიის ძირითადი კანონების მომარჯვება პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად. მოსწავლეთა მათემატიკური განათლების დარგში სერიოზული ნაკლია არითმეტიკის სუსტი ცოდნა და ანგარიშის პრაქტიკული ჩვევების უქონლობა, საკუთარი დასკვნების გაკეთებისა და მსჯელობის დასაბუთების უნარის განუვითარებლობა. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება ბევრგან არ ემსახურება მატერიალისტური მსოფლმხედველობის ელემენტების შემუშავებას მოსწავლეში. ფიზიკური აღზრდის საგნების სწავლება მრავალ სკოლაში არ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცებას.

ახალი სასწავლო წლის პირველი დღიდანვე ჩვენი საბრძოლო ამოცანაა: ყოველდღიური, გულმოდგინე ზრუნვა იმისათვის, რომ მკვიდრი, შეგნებული ცოდნის საფუძველზე მაღლდებოდეს მოსწავლის გონებრივი დონე, მის შეგნებაში ყალიბდებოდეს კომუნისტური მსოფლმხედველობა: საჭიროა აღმოვფხვრათ ფორმალისტური მეთოდები პედაგოგიურ პრაქტიკაში, ავამაღლოთ პედაგოგიური შრომის კულტურა.

ჩვენი წარსული მუშაობის ერთ-ერთ უდიდესად სერიოზულ ნაკლს შეადგენს კლასებში მეორე წელს დარჩენილთა დიდი რაოდენობა. სახალხო განათლების ორგანოების, სკოლის ხელმძღვანელებისა და პირველ რიგში თვითეული მასწავლებლის ყურადღება მთლიანად უნდა მიექცეს ამ ნაკლის აღმოფხვრას.

მასწავლებელი შეუწყნარებელი უნდა იყოს მოსწავლის მიმართ თავის პედაგოგიურ მოთხოვნებში. მაგრამ ეს გულისხმობს როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის პასუხისმგებლობას. ჩამორჩენილ მოსწავლეთა მაღალი პროცენტი კლასში პირველ ყოვლისა იმას მოწმობს, რომ აქ მასწავლებელი ჭეშმარიტი პედაგოგი კი არ არის, არამედ უსულგულო მოსამსახურე, რომელიც გარკვეული ნორმების მიხედვით გულცივად აწარმოებს მოსწავლეთა ცოდნა-არცოდნის რეგისტრაციას. ნამდვილი პედაგოგი ის არის, ვინც მტკიცე და თანმიმდევრულია თავის მოთხოვნილებაში, ვისაც არ გამოეპარება არცერთი შემთხვევა მოსწავლის მუშაობაში, ვინც მაშინვე მგრძნობიარე ბაროგრაფის მსგავსად აღნიშნავს ამას, მიიღებს მტკიცე გადაწყვეტილებას — ჩამორჩენილი კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩააყენოს და კიდეც მიაღწევს მიზანს.

არანორმალურად გაზრდილი მეორეწლიანობა — ეს სამარცხვინო ლაქა — ჩვენმა სკოლამ უნდა მოიცილოს. ამისათვის დიდი და დაძაბული მუშაობაა საჭირო. ჩვენ მოვუწოდებთ მასწავლებლობას ეს ამოცანა თავის საბრძოლო საქმედ აქციოს ახალი სასწავლო წლის პირველი დღეებიდანვე.

თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლა საქართველოს სკოლებში ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს მთელი რიგი პრაქტიკულ-პედაგოგიური ამოცანების გადასაჭრელად. ახალი პროგრამები და სასწავლო გეგმები საშუალებას გვაძლევენ დასრულებული კონცენტრების სახე მივცეთ გამოსაშვები კლასების (მე-4, მე-8, მე-11) კურსებს, დავამყაროთ რაციონალური პედაგოგიკური კოორდინაცია სასწავლო მასალის საერთო მთლიანობაში, უკეთ გავითვალისწინოთ ცალკეულ საფეხურებზე მოსწავლეთა ასაკის ინტერესები და თავისებურება, მნიშვნელოვნად გავადიდოთ სამუშაო გეგმებში გამეორებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების ხვედრითი წონა, გავადიდოთ საათების რაოდენობა წამყვან სასწავლო დისციპლინებში.

დაწყებითი კლასების ძირითად მასალას შეადგენს მშობლიური ენა და არითმეტიკა. დაწყებითი განათლების მნიშვნელოვანი კომპონენტია რუსული ენა, რომელიც ახალი გეგმით მეორე კლასიდან ყოველდღიურად ისწავლება. მე-4 კლასში დამოუკიდებელი საგნების სახით ისწავლება ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება. პირველადი ცნობები ამ საგნებში მოსწავლეებს ეძლევათ უკვე 1-2-3 კლასებში ახსნითი კითხვის გაკვეთილებზე.

რვაწლიანი სკოლის კურსის აგებისას ჩვენ გამოვდიოდით იმ მოსაზრებიდან, რომ, ერთის მხრივ, მიგვეცა კურსდამთავრებულთათვის მეცნიერების ძირითადი დარგებიდან პრაქტიკული მოღვაწეობისათვის აუცილებელი ცოდნა-ჩვევები, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატური შესწავლისათვის მოგვემზადებინა ისინი, ვინც სწავლის განგრძობას განიზრახავს შემდეგ საფეხურზე (9-11 კლასებში). სწორედ ამიტომ რვაწლიანი სკოლის ძირითადი კურსები ატარებენ უფრო პრაქტიკულ-ენციკლოპედიურ ხასიათს, ვიდრე სისტემატურს, რაც უკვე შემდეგი საფეხურის მთავარ ამოცანად არის მიჩნეული. ზედა კლასების (9, 10, 11) მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურება და წინა საფეხურებზე მიღებული მომზადება იძლევა იმის საშუალებას, რომ აქ გაიშალოს სასწავლო გეგმის ყველა საგნის გაღრმავებული და სისტემატური შესწავლა, გამდიდრებული კონკრეტული მასალით და პრინციპული განზოგადებებით.

თერთმეტწლიანი სკოლა ჰქმნის საჭირო პირობებს სასწავლო კურსის სრულად, ღრმად, გულმოდგინედ და ბეჯითად შესწავლისათვის, მოსწავლის განკარგულებაში მეტ დროს სტოვებს გაკვეთილების მოსამზადებლად, კლასგარეშე კითხვისათვის, კულტურული დასვენებისათვის.

ჩვენი მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპად კვლავ რჩება სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის საალმზრდელო გავლენის კოორდინირება, რაც პირველ რიგში უნდა მოხდეს „მოსწავლეთა წესების" თანმიმდევრულად დაცვა-გატარებისათვის ზრუნვის საფუძველზე.

განათლების ორგანოებმა საჭიროა აწარმოონ გეგმიანი პედაგოგიკური პროპაგანდა მშობელთა შორის ლექციებით, პრესისა და რადიოს საშუალებით, შეიმუშაონ იმგვარი საალმზრდელო ღონისძიებანი, რომლებიც დაიცავენ ბავშვებს ყოველგვარი შესაძლებელი მავნე გავლენისაგან. არ კმარა მარტო ის, რომ განუმარტო მოსწავლეს თავდაჭერის, ყოფაქცევის წესები და მოთხოვნილებანი. საჭიროა დაუზარებლად, გულმოდგინედ ვწვრთნით იგი ამ მიმართულებით, რომ კულტურული ქცევის ნორმები მისთვის ორგანულ ჩვევებად გადაიქცნენ. რა თქმა უნდა, მასწავლებლის პირველი თანაშემწე და თანამშრომელი ამ საქმეში კომკავშირი და პიონერული ორგანიზაციები არიან.

ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმით სახალხო განათლების დარგში ცენტრალურ ამოცანად დასახულია საყოველთაო სავალდებულო სწავლების განუხრელად გატარება, სწავლისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფა. საყოველთაო სავალდებულო სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ამაღლებისათვის. დიდ სამამულო ომში ჩვენ განათლებული, კულტურული ადამიანების მრავალმილიონიანი კადრები გვყავდა. ეს კადრები მომზადდა სტალინური ხუთწლედების სახალხო-საგანმანათლებლო პოლიტიკის საფუძველზე. ომის მონაწილე ყოველი მეორე მებრძოლი შვიდ ან ათწლედდამთავრებული იყო. ამან თავისი ცხოველმყოფელი ძალა მისცა ჩვენს არმიას. თუ ჩვენს მეომარს სნაიპერულ შაშხანას ჩააბარებდნენ, იგი სწრაფად აუღებდა ალღოს ოპტიკური სამიზნის ტექნიკას, თუ მზვერავად გზავნიდნენ — იცოდა რა არის კოორდინატები, მასშტაბი, რუკა, კომპასი, ადვილად ერკვეოდა საარტილერიო ცეცხლის განფენადობის კანონებში, ნაღმების წინააღმდეგ ბრძოლის ტექნიკაში. საშუალო სკოლაში მიღებული ზოგადი განათლების საფუძველზე ყველა ამ სპეციალურ სამხედრო ცოდნას ჩვენი მებრძოლი ადვილად და სწრაფად ეუფლებოდა.

სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების პირველხარისხოვან ამოცანას წელსაც შეადგენს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარებისათვის ზრუნვა. ახალი სასწავლო წლის პირველი დღეებიდანვე მთელი ყურადღება მთავრობის ამ დავალების შესრულებისათვის ბრძოლას! ეს შეეხება როგორც მასობრივ სკოლას, ისე მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს, რომელთა კონტინგენტი უკლებლივ უნდა ჩავაბათ ნორმალურ სწავლაში.

სახალხო განათლების ორგანოების აქტიური და ოპერატიული, მასწავლებელთა ენერგიული მუშაობით ჩვენ შევძლებთ საქართველოს სკოლებში სასწავლო და საალმზრდელო მუშაობის ისე დაყენებას, როგორც ამას მოითხოვენ პარტია, მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი.

ჟურნალი „მნათობი" სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს

„მნათობი" ამჟამად ერთადერთი ჟურნალია საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა. იგი მოწოდებულია იყოს ქართული მწერლობის მებრძოლი ორგანო, მისი თანამედროვე დონის გამომხატველი. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ „მნათობმა" პოლიტიკური მებრძოლისა და ორგანიზატორის, საბჭოთა მკითხველის სწორი ორიენტირებისა და ახალგაზრდობის აღზრდის ფუნქციებს თავი ვერ გაართვა. ზოგ კარგ ნაწარმოებთან ერთად, ჟურნალმა იწყო გამოქვეყნება პესიმიზმისა და გულგატეხილობის გამომხატველი სუსტი და უიდეო ლექსებისა და მოთხრობებისა. საბჭოთა ლიტერატურისათვის ეს უცხო მოტივები ჯერ „მორცხვად" შეეპარა ჟურნალს. ლექსებში შეხვდებოდით ასეთ სტრიქონებს: „შევცქერი ზვირთებს გაშლილ ზღვაზე და მატკბობს სევდა გამოუთქმელი", ან „შენი ცხოვრება არის სიზმარი, იდუმალი და ბურუსის ფერი".

ეს არაჯანსაღი განწყობილებანი თავის დროზე იყო გაკრიტიკებული, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ჟურნალის რედაქციას აქედან სათანადო დასკვნები გაეკეთებინა, პირიქით, უფრო მეტად დაუთმო ადგილი დეკადენტურ, უიდეო, მავნე ნაწარმოებებს. სევდამ, გარდასული დროის იდეალიზაციამ ფართო ადგილი დაიკავა ჟურნალის ფურცლებზე. „მნათობის" 1945 წლის 4-5 ნომერში ვკითხულობთ:

> „მთაზე გამოჩნდა, ვით ნიშანი დაობლებისა,
> დათო ბატონის უკაცური სახლი ავინით.
> ვილაც ბედშავი დედაბერი გლოვით გამოსულს,
> მუხლი არადილი გარდასული თაობებისა.
> დამრეტილ თვალზე დამბლისაგან უტოკავს
> წარბი.
> გამოიტანა კარმიდამი ეს მივიწყებული,
> სიმდიდრით, ლხინით და ზეიმით წინათ
> ქებული,
> სად კაცის ნაცვლად ქვეიანი ძაღლიც არ
> დარბის.
> სახლის იატაკს მიაყენა ჟამმა ზიანი,
> ქართულ ავეჯის შერჩენია ზოგან ბირკვალი.
> ჩამოქცეული სვეტისთავი ჩუქურთმებით
> და ხავსმოდებულ სამარკვალზე ხარობს
> ძირტკბილა.
> ძელქვის ფიცრებით ლაფარში ლპება
> მიყრილი,
> ლპება ხარტყელი, ლარძყინი ჩამოსაყრელი
> და როგორც ჩემი მასპინძელი სულმოლედ
> მიბრწნილი,
> არის ეს სახლიც ავი დაშლის გამომხატველი".

ამ სიტყვებში გარკვეულად ისმის გარდასული დროის სევდიანი ხმა, ძველისმცველი რომანტიზმის ნაცნობი კილო. ჩვენ რომ ამ ლექსის ავტორი და დაწერის თარიღი არ გვცოდნოდა, შეიძლებოდა მისი ავტორი მე-18 ან მე-19 საუკუნეში გვეძებნა, აქ გამოხატული იდეა იმდენად არქაულია და უცხო ჩვენი ყოფისათვის, ჩვენი ადამიანებისათვის. ლექსის ავტორი ალექსანდრე ქუთათელი ცნობილი საბჭოთა მწერალია. მით უფრო გაუგებარია მისი ასეთი ნაბიჯი.

მაგრამ როგორ მოხდა, რომ ჟურნალმა „მნათობმა" ადგილი დაუთმო ამ და მრავალ მსგავს ნაწარმოებს? ამის მიზეზია, ჯერ ერთი, ის, რომ ჟურნალ „მნათობის" რედაქცია არ იჩენს საჭირო პასუხისმგებლობას დასაბეჭდი მასალის შერჩევისას და, მეორეც, თვით ჟურნალის რედაქტორი ა. მაშაშვილი შემცდარ გზას ადგია. სწორედ ჟურნალის ამავე ნომერში, როგორც პირდაპირი გაგრძელება ზემოხსენებული ლექსისა, არის დაბეჭდილი ა. მაშაშვილის „მზის ამბორი". პოეტი საყვედურით მიმართავს ბედს, რაღაც ძალას უხმობს გამოიყვანოს ამ მდგომარეობიდან:

> „გული შენ გიმხობს, ტანი ცახცახებს,
> ტანჯვად განვიცდი მე ეშენობას,
> ყრუა სამყარო... შენი სახახლეც
> დამხვავებია ღრუბელთ შენობას.
> საბჯუ მარიდებ და სულში ვიმზერ,
> ნეტავ შორიდან მაინც ელავდე?
> განწირულია ჩაძირული მზე,
> ჩაკარულია კლდეში ყელამდე".

ამ ნახევრად მისტიკურ, ნახევრად რომანტიულ, უიდეო, აპოლიტიკურ ლექსს რა აქვს საერთო ჩვენს საბჭოთა პოეზიასთან? მეორე ლექსში — „მე და ზაფხული" პოეტი სწერს:

> „ბინდდება, — მოდის ფერის-ცვალება,
> ბაღშიც თანდათან ეშვება ნისლი,
> ბოლო მოელო ჩემს გაწვალებას
> და სამელნეშიც გაშრალა სისხლი".

გაუგებარია, რა აწვალებს ა. მაშაშვილს. მისი სევდა აუხსნელია. პოეტისათვის ზოგჯერ „სიკვდილი ჰგავს დაბადებას". პოეტი თავისი ბავშვობის დღეებს იგონებს და სწერს:

> „ამოვა ხელი, ვით მწუხარე გარიჟრაჟება,
> გამოიღვიძებს უწყინარი ჩემი ბავშვობა".

მეორე ლექსში ავტორი ასეთ აზრს ავითარებს:

> „სანამ არ ჩაქრება სიცოცხლის ნახაზიც, —
> აკვნიდან აკვნამდე სიარულს ვუნდებით,
> და ბოლოს გვეწვევა სიბერის ასაკი,
> ფეხადგმულ ბავშვივით მშობლებთან
> ვბრუნდებით".

დეკადენტურმა მოტივებმა ა. მაშაშვილის შემოქმედებაში საკმაოდ ფართოდ იჩინეს თავი. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მის მიერ დაწერილი ლექსების სათაურებიც კი. აი ისინი: „ლეგენდა ცდომილ ვარსკვლავზე", „ვერხვი", „მკვდარი ფრინველი", „წყარო", „ღიმილი", „გრიგალი", „მე და ზაფხული", „დრო და მანძილი", „შემოდგომა". „ციცინათელა" და სხვ.

ჩვენ ვიცით, რომ რევოლუციის პირველ წლებში, როცა გამოცოცხლება იწყეს დეკადენტურ-სიმბოლისტურმა განწყობილებებმა, თვითონ ალიო მაშაშვილმა პირველმა აღიმაღლა ხმა საბჭოთა ეპოქისათვის უცხო იდეოლოგიის მქადაგებელი მწერლების წინააღმდეგ. იგი მათ შესახებ სწერდა:

> „ჰეი, თქვენ ცაში ბევრს ნუ დაეძებთ,
> ძირს სიყვარულით დახედეთ მიწას".

ახლა კი ალიო მაშაშვილი თვითონ იწყებს ზეცაში რაღაცის ძიებას.

ალიო მაშაშვილის უიდეო, აპოლიტიკური ლექსების გვერდით ჟურნალ „მნათობში" იბეჭდებოდა გრ. აბაშიძის კლერიკალური ხასიათის „ატენური ლექსები", კ. ჭიჭინაძის, კ. ნადირაძისა და სხვათა უსაგნო, ლირიკული ნაწარმოებები.

დეკადენტურ-სიმბოლისტურ მიმართულებას ჩვენში ჰყავდა მიმდევრები რევოლუციამდელ მწერლობაში და საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც. ეს პერიოდი ჩვენმა ლიტერატურამ თითქოს გაიარა, მაგრამ ახლაც აღმოჩნდნენ მწერლები, რომლებიც უბრუნდებიან დაგმობილ, უარყოფილ, საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხო გზას. უფრო სამწუხაროა, რომ ჟურნალი „მნათობი" გახდა ამ მწერალთა ტრიბუნა. ჟურნალმა და მისმა რედაქციამ დაივიწყა, რომ ის უპირველეს ყოვლისა ჩვენი ქართული მწერლობის მხატვრული და პოლიტიკური ორგანოა, რომელსაც მინდობილი აქვს დააკმაყოფილოს საბჭოთა მკითხველის სულიერი მოთხოვნილებანი, ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის აღზრდას მოწინავე იდეებზე. ჟურნალმა დაივიწყა, „რომ საბჭოთა ლიტერატურის ძალა, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ისეთი ლიტერატურაა, რომელსაც არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, სახელმწიფო ინტერესებისა. საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს სახელმწიფოს ახალგაზრდობის სწორად აღზრდაში, უპასუხოს ახალგაზრდობის საჭიროებას, აღზარდოს მხნე, თავის საქმეში დარწმუნებული ახალი თაობა, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებებისა და მზად არის გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება.

ამიტომ ყოველგვარი ქადაგება უიდეობისა, აპოლიტიკურობისა, „ხელოვნება ხელოვნებისათვის" უცხოა საბჭოთა ლიტერატურისათვის, მავნეა საბჭოთა ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის და მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს ჟურნალებში". (საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებიდან)

ჟურნალ „მნათობში" დაბეჭდილმა უცხო და მიუღებელმა ნაწარმოებებმა უპირველეს ყოვლისა დაბნეულობა შეიტანეს ახალგაზრდა მწერლებში. ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალს აშკარად დაეტყო დეკადენტური, აპოლიტიკური მოტივებით გატაცება. ამის ყველაზე მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს ანა კალანდაძის ლექსები, რომლებიც ჟურნალ „მნათობის" მიმდინარე წლის მეოთხე ნომერში დაიბეჭდა. ახალგაზრდა ავტორს, როგორც სჩანს, აქვს საკმაო პოეტური ნიჭი, მაგრამ მას აკლია ჩამოყალიბებული ცოდნა ცხოვრებისა, უნარი მოვლენების სწორად დანახვისა, არ ხელმძღვანელობს მოწინავე იდეებით, დეკადენტური მოტივების ტყვეობაშია მოქცეული.

ერთ ლექსში ანა კალანდაძე „უდაბნოს მწირს" უწოდებს თავის თავს, და მართლაც მისი ზოგიერთი ლექსი ძველი სამონასტრო ცხოვრების ჰიმნოგრაფიებს გვაგონებენ. მაგალითისათვის დავასახელებთ ლექსს: „ხატებთან შევნი დახრილი წამით". აქ ვკითხულობთ:

> „ხატთან ანთია სანთელი ორი,
> ორივე პაწია და თანასწორი.
> სულის მეოხავ შენი ერთისა,
> ან ვარ ბეთანში, ან თუ მცხეთაში.
> წმინდა სამთავროს...
> ოლვის სადარო,
> დახრილი წამით,
> მოყრილი მუხლით ხატის წინ შევნი
> შენ ამბობ:
> „—იყავნ ნებაი შენი!"—
> მე ვამბობ:
> ამინ!"

რა სოცარ ანაქრონიზმად გაისმის ეს სიტყვები დღეს. ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს შესახებ ამაზე უფრო ალგზნებული ჰიმნები მეათე საუკუნის ჰიმნოგრაფებსაც არ შეუქმნიათ. ვის ესაჭიროება დღეს ამგვარი ლექსები? ვის სულიერ განწყობილებას გამოხატავენ ისინი?

ანა კალანდაძის მეორე ლექსში „მკვდართა მზე ვარ", ვკითხულობთ:

„ორი ქვეყნის—ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ. გულო, რისად მეხურები? სხივ-მიმკრთალი, სხივ-მიმკვდარი მკვდართა მზე ვარ, ჩემს სხივებში თამაშობენ ბელურები. კორჩიოტას, კორჩიოტას თესლი გალხვა, ორთქლად მიდის ნესტიანი სუნთქვა მიწის, ნაკადულის სიმღერებში სძინავს ღალღას, ლხენით ვისმენ ბელურების წივ-წივ-წივ-წივს".

ფორმალიზმი, უიდეობა, აპოლიტიკურობა ამაზე შორს ვერ წავა.

ანა კალანდაძის ლექსებში ადგილი აქვს მეორე უცნაურობასაც, რომელიც აგრეთვე დეკადენტური, გარდასული დროის პოეზიის დამახასიათებელია. პოეტი რაღაც უცხო სევდას შეუპყრია და ბუზღუნებს: **„დარდიანი ღვინოს ვსვამ და ვთვრები"**. ეს შემთხვევითი სტრიქონი როდია. შეიძლება ითქვას, რომ ა. კალანდაძის ლექსებში სიმთვრალის, ლოთობის აპოლოგიასთან გვაქვს საქმე. „ღვინიანი ჭიქა", „ქუდმოხდილი ქვევრი", „ღვინიანი კოპე", „ღვინომ დამახრჩო", „ღვინის ლოთები", „ღვინო დოქებით",—ასეთია ამ ქალის პოეტური ლექსიკა.

ჩვენი ლიტერატურისათვის ეს სრულიად უცხო მოტივები — ლოთობის აპოლოგია, მისტიციზმი—ამ დამწყები პოეტის შემოქმედებაში იმის შედეგია, რომ მწერალთა კავშირი და ჟურნალ „მნათობის" რედაქცია სუსტად ხელმძღვანელობენ ახალგაზრდა მწერლების იდეურ აღზრდას. სხვა მხრივ რით უნდა აიხსნას ა. კალანდაძის აღნიშნული ლექსების დაბეჭდვა ჟურნალ „მნათობში".

იდეოლოგიურად მავნე, დეკადენტური ნაწარმოების გვერდით ჟურნალი „მნათობი" ბეჭდავს მხატვრულად სუსტ და მდარე ნაწარმოებებს. მარტო თემის აქტუალობა არ შეიძლება გადამწყვეტი იყოს. ჟურნალში დაბალი მხატვრული ღირსების ნაწარმოები, რა თემაზედაც არ უნდა იყოს იგი, არ უნდა იბეჭდებოდეს. ჩვენ ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ, ხელი შევუწყოთ მწერლებს იმუშაონ თანამედროვე თემებზე. ეს არის ჟურნალის რედაქციისა და მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის საქმე. ჟურნალის რედაქციას მტკიცე შემოქმედებითი კავშირი უნდა ჰქონდეს მწერლებთან. ის უნდა ეხმარებოდეს მათ. მაგრამ დახმარება ერთია, ხოლო მხატვრულ მოთხოვნილებაზე ხელის აღება—მეორე.

„მნათობის" 1, 2, 3 და 4 ნომრებში დაიბეჭდა ი. ლისაშვილის რომანი „სიცოცხლისათვის". თემის აქტუალობით ეთუოდ საინტერესოა ეს ნაწარმოები. მაგრამ იგი იმდენად დაუმუშავებელია ენობრივად, რომ ვერ ამართლებს დანიშნულებას. აი რამდენიმე ადგილი ამ რომანიდან:

— „ეტყობა ახალი მეთაური ყოჩაღი ვინმეა! ბლინდაჟი ჩამოინგრა, აღვადგენია, სანგარი ჩამოინგრა, აღვადგენია. **გაჰქონდათ მკვდრები და დაჭრილები, სამაგიეროდ ცოცხლები გვემატებოდნენ, ვინგრეოდით და ვსწორდებოდით, ვიხოცებოდით და ვცოცხლდებოდით**".

შემდეგ:

„მაშ, გვიამბეთ, ხალხი რას შვრება?—უნდოდათ მოეკლათ, მაგრამ არ მოკვდება!—მიუგო იანკამ,—**აქ დამარხავენ — იქ იბადება, იქ დამარხავენ—აქ იბადება**, ფესვი ვერ მოუნახეს გერმანელებმა".

აი კიდევ ერთი ადგილი:

„შენ თავს დააბრალე, ქლიბინო, შენ უფრო ადრე შეგეძლო გესწავლა ჭკუა, დაიგვიანე! ჰოდა ახლა ნუ გაჯავრდები. **ყოველი დრო ცხოვრებაში საკუთარი ტვინით შეიძინ**. გენიოსი უნდა იყო, ყველა საფეხურზე ჭკუა რომ გეყოს".

ასეთი უცნაური მსჯელობანი, ბუნდოვანი აზრები, გაუმართავი, უსწორო წინადადებანი უამრავია ამ რომანში.

ჟურნალში თანამედროვე თემაზე დაიბეჭდა ი. ტატიშვილის მოთხრობა „სამშობლოს ბილიკებით". სჩანს, ავტორი თვითონ არ იცნობს იმ ცხოვრებას, რომელსაც აღწერს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენთვის გაუგებარია ის სქემატიზმი და მდარე პუბლიცისტიკა, რაც ამ მოთხრობისათვისაა დამახასიათებელი.

ყოველივე ეს იმას ამტკიცებს, რომ ჟურნალ „მნათობის" რედაქცია ზერელედ ეპყრობა დასაბეჭდი მასალების შერჩევას, ნაკლებად ზრუნავს მათი ლიტერატურული დამუშავებისათვის. ასეთმა დაუდევრობამ და გაურჩეველობამ გამოიწვია ჟურნალის მხატვრული და იდეური დონის აშკარა დაქვეითება.

ჩვენი ქვეყანა უდიდესი ისტორიული ამოცანების წინაშე დგას. გამარჯვებული საბჭოთა ხალხი მთელი ენერგიით შეუდგა მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. ჩვენი მწერლობის ამოცანაა დაეხმაროს ხალხს ამ დიდი ისტორიული ამოცანის შესრულებაში, აღზარდოს და გააძლიეროს მასში სამშობლოს სიყვარულის, ხალხისადმი თავდადების გრძნობა. ამისათვის არის მოწოდებული ჩვენი ლიტერატურული პრესაც.

ჟურნალ „მნათობის" რედაქციამ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს თავის მუშაობაში დაშვებული შეცდომებიდან.

ხ. ჟილაია

საჰაერო გზა და მისი მშენებლები

პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის საჰაერო გზა დიდი შეფერხებით მუშაობდა. ეს ხელს უშლიდა ფაბრიკის ნორმალურ მუშაობას, აფერხებდა მაღალხარისხოვანი პეროქსიდების დამზადებას. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად უკვე აგებულია ახალი, ორბაგირიანი საჰაერო გზა. გზის წინასწარმა გამოცდამ საუცხოო შედეგები მოგვცა: იგი უნაკლოდ, შეუფერხებლად მუშაობს.

ახალი გზა ოთხ კილომეტრზეა გაჭიმული. ცვლაში ის გადაზიდავს 450 ტონა მარგანეცს, ხოლო სადღეღამისო წარმადობა 1.350 ტონას აღწევს. გზის მშენებლობაზე 1.500 ათასი მანეთი დაიხარჯა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გზის სამონტაჟო სამუშაოების მოკლე ვადაში დამთავრება. მონტაჟისათვის ერთი თვე იყო გათვალისწინებული, მაგრამ გზის მშენებელთა თავდადებული შრომით იგი რვა დღით ადრე დამთავრდა. აღსანიშნავია ისიც, რომ წინათ საჰაერო გზის მონტაჟს აწარმოებდნენ მოწვეული სპეციალისტები, ახლა კი იგი ჩაატარეს ჭიათურელმა ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა, მექანიკოსებმა და ზეინკლებმა.

საჰაერო გზის მშენებლები განუწყვეტლივ დილიდან საღამომდე მუშაობდნენ, აქ ათენებდნენ და აღამებდნენ, რათა საპატიო დავალება ვადამდე შეესრულებინათ. გზის მონტაჟის პროცესში თავი იჩინა ზოგმა გაუთვალისწინებელმა სამუშაომ, რამაც გაართულა საქმე. დამატებით შესრულდა 600 კუბმეტრი მიწისა და კლდის სამუშაო, 50 კუბმეტრი ბეტონის სამუშაო, დაიდგა ორი საყრდენი, გაკეთდა მესამე უბნის (ნასაკირევი) ბუნკერი 200 ტონა მარგანეცის ტევადობისა, თითქმის მთლიანად გაკეთდა ყაზანისა და თბილისის ლითონკონსტრუქციის ქარხნებიდან მიღებული მოწყობილობა-დანადგარები.

სამუშაოს უკეთესად შესრულებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უბნის უფროსები, გამოცდილი მექანიკოსები: შ. ბუხრაშვილი, ქ. ბარბაქაძე, მგალობლიშვილი და ბ. მოსეშვილი. ისინი ორი-სამი დღით ადრე ასრულებდნენ მიცემულ დავალებას. ენერგიულად მუშაობდნენ ბრიგადირები ამხ. გ. მაჭავარიანი, უ. ხუჯაძე, მ. ბაზღაძე, ი. ღლონტიშვილი, ქ. ღიბრაძე, ა. რიჟამაძე, ირ. შუკაკიძე, გრ. ვოლკოვი და ივ. ჩებოტარიოვი. მონტაჟის პერიოდში კარგად იმუშავეს გამოცდილმა მშენებელმა ალ. მატჩინმა და მეორე კლასის ოსტატმა ევ. სერეიატნიკმა. გზის მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დახელოვნებულმა ზეინკლებმა ამხ. ი. კაპანაძემ, გ. ზაბახიძემ, გ. მიროტაძემ, ვლ. სიკინჭილაშვილმა, ი. გაფრინდაშვილმა, ს. მაჩიტაძემ, ს. წოწილაშვილმა.

მონტაჟს ხელმძღვანელობდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი, ენერგიული ინჟინერი დ. ზიზზიბაძე და გამოცდილი მექანიკოსი, საჰაერო გზების შესანიშნავი მცოდნე შ. რიჟამაძე. მათმა მონდომებამ და თავდადებამ უზრუნველყო საპატიო დავალების ვადამდე შესრულება.

საჰაერო გზა უკვე გადაეცა საექსპლოატაციოდ. იგი მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ამიერიდან პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკა შეუფერხებლად მიიღებს მარგანეცს.

პ. ჟიოკაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

დამნაშავენი მიცემული არიან პასუხისგებაში

ჩვენი გაზეთის 27 ივლისის ნომერში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია სათაურით: [illegible]

[illegible]

რა იქნა კინოსეანსი?

[illegible]

[illegible]

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

სსრ კავშირისაგან მთავარი ბრალმდებლის ამხ. რ. ა. რუდენკოს საბოლოო სიტყვა

დანაშაულებრივი ორგანიზაციების საკითხზე

ნიურნბერგი, 30 აგვისტო. (საქდესი). დღეს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის სხდომაზე მთავარი ბრალმდებელი სსრ კავშირისაგან ამხ. რ. ა. რუდენკო გამოვიდა შემდეგი საბოლოო სიტყვით დანაშაულებრივი ორგანიზაციების საკითხზე:

ბატონო თავმჯდომარევ, ბატონო მოსამართლენო! ჩვენ ვიყავით განსაკუთრებული გულმოდგინეობითა და დიდი ხელოვნებით ჩატარებული პროცესის უკანასკნელ სტადიაზე. ბრალდებულთა სკამზე დასმულ მთავარ სამხედრო დამნაშავეთა ინდივიდუალურ საქმეებზე ბრალდებამ უკვე წარმოადგინა ამომწურავი დამამტკიცებელი საბუთები. ჩვენ ძლიერად ვუჭერთ მხარს აგრეთვე ბრალდებას ორგანიზაციების — ფაშისტური გერმანიის მთავრობის, გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისა და უმაღლესი სარდლობის, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის, სახელმწიფო საიდუმლო პოლიციის (გესტაპოს), გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის დაცვის რაზმების (სს), უშიშროების სამსახურის (სდ) და მოიერიშე რაზმების (სა) წინააღმდეგ.

როგორც სასამართლო კვლევა-ძიებით გამოირკვა, ჰიტლერულ გერმანიას სათავეში ედგა შეთქმულთა ბანდა, რომელმაც ხელთ იგდო სახელმწიფო ძალაუფლება და მთელი გერმანიის მართვა-გამგეობა.

შეთქმულთა ასეთი ჯგუფი, რომელიც მრავალმილიონიანი მოსახლეობის მქონე სახელმწიფოში, უდიდესი სახელმწიფოებრივი აპარატის ცენტრში მოქმედებდა, ვერ იარსებებდა ისე, რომ არ ჰქონოდა მთელი სისტემა დამხმარე დანაშაულებრივი ორგანიზაციებისა, რომლებიც შეთქმულებს პერიფერიასთან აკავშირებდნენ,—შარაგზის ფიურერებს — ქუჩებისა და შუკების ფიურერებთან. ამიტომ ჰიტლერულ გერმანიაში შეთქმულთა მუდმივი და უშუალო ხელმძღვანელობით მოქმედებდა დიდი უფლებით მოსილი ორგანიზაციების ქსელი—გერმანიის ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობა, გესტაპო, სს, სდ და სხვანი.

1933 წლის კანონი, რომლითაც ფაშისტური პარტიის აპარატი შეერთებულ იქნა ჰიტლერული გერმანიის სახელმწიფო აპარატთან, ამ აქტის აშკარა კანონმდებლობით აღიარება იყო.

მმართველ ბანდასა და ორგანიზაციებს შორის კავშირის განსამტკიცებლად თვითეული შეთქმულთაგანი რამდენიმე როლს ასრულებდა, მრავალსახოვანი იყო: გერინგი—მინისტრი, სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი, ოთხწლიანი გეგმის რწმუნებული, რაიხსლაიტერი, სა-ს და სს-ის უმაღლესი ხელმძღვანელი; ჰესი—მინისტრი, ჰიტლერის მოადგილე პარტიის ხაზით, სს-ისა და სა-ს ჯარების გენერალი; როზენბერგი—ნაციონალ-სოციალისტური პარტიის საიმპერიო ხელმძღვანელი იდეოლოგიისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში, მინისტრი და სა-ს და სს-ის ობერგრუპენფიურერი და სხვ. როგორც გერინგი-მინისტრი განუყოფელია სს-ის ობერგრუპენფიურერ გერინგისაგან, ისე სს, გესტაპო და სხვა დანაშაულებრივი ორგანიზაციები განუყოფელი არიან ჰიტლერული რეჟიმისაგან. შეიძლება წარმოიდგინოთ ჰიტლერული რეჟიმი უბიბლიოთეკებოდ, უსკოლებოდ, უსაავადმყოფოებოდაც კი, მაგრამ უ-სს-ოდ და უგესტაპოოდ ჰიტლერულ რეჟიმს არსებობა არ შეეძლო.

ასახავს რა ამ პოლიტიკურ სინამდვილეს, საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება ითვალისწინებს დანაშაულებრივ ჰიტლერულ თანასაზოგადოებებში თანამონაწილეობის ორ ფორმას: წესდების მე-6 მუხლში ლაპარაკია დანაშაულებრივ **შეთქმულებაში** მონაწილეობაზე, ხოლო მე-9-10 მუხლებში — დანაშაულებრივ **ორგანიზაციებში** მონაწილეობაზე. ორივე ეს ფორმა ორგანულად და განუყრელად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ვინაიდან ისინი სისხლის სამართლის უფლებრივი ტერმინებით ასახავენ იმ ურთიერთობასა და იმ კავშირს, რაც ცხოვრებაში არსებობდა შეთქმულებასა და ჰიტლერული გერმანიის ორგანიზაციებს შორის.

მხოლოდ დაუკავშირა რა ერთმანეთს საერთაშორისო დანაშაულებში ჰიტლერელთა თანამონაწილეობის ორი ფორმა—შეთქმულებაში მონაწილეობა და ორგანიზაციაში მონაწილეობა,—საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებამ სრული სიფრთხილით დაადგინა თანამონაწილეობის როგორც ერთი, ისე მეორე ფორმისათვის სისხლის სამართლის სხვადასხვა უფლებრივი შედეგი.

მონაწილეობა შეთქმულებაში, რომელიც თვით თავისი ბუნებით არ შეიძლება შეიცავდეს პიროვნებათა ძლიერ მნიშვნელოვან რაოდენობას, წესდების მიერ გათვალისწინებულია როგორც სისხლის სამართლის წესით დამოუკიდებლად დასასჯელი ქმედობა.

პირიქით, საკითხს დანაშაულებრივ ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა შემადგენლობაშიც ათასობით წევრი შედიოდა, ტრიბუნალის წესდება სხვა მიმართულებით სწყვეტს. ტრიბუნალის წესდება, რომელიც მთლიანად უფლებისა და სამართლიანობის პრინციპებზეა აგებული, ორგანიზაციის წევრთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განსაზღვრას, რაც მრავალი ცალკე პირის დამნაშავეობის გამორკვევასთან არის დაკავშირებული, ეროვნული ტრიბუნალების კომპეტენციას აკუთვნებს.

წესდების მე-10 მუხლის თანახმად, „თუ ტრიბუნალი ამა თუ იმ ორგანიზაციას დანაშაულებრივად სცნობს, ეროვნულ სასამართლოებს უფლება აქვთ ცალკე პირები პასუხისგებაში მისცენ დანაშაულებრივი ორგანიზაციისადმი კუთვნილებისათვის". მაშასადამე, ტრიბუნალს უფლება აქვს ორგანიზაცია დანაშაულებრივად აღიაროს, რათა ამით ეროვნულ სასამართლოებს გაუადვილოს შესაძლებლობა და უზრუნველჰყოს მათი უფლება სამართალში მისცენ ცალკე პირები იმისათვის, რომ ისინი ასეთ, დანაშაულებრივად აღიარებულ ორგანიზაციებს ეკუთვნოდნენ.

წესდების მე-10 მუხლის მითითებათა შესაბამისად ტრიბუნალებს სსრ კავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში და 13 სახელმწიფოში, რომლებიც ლონდონის შეთანხმებას შეუერთდნენ, შეუძლიათ, რა თქმა უნდა, მსჯავრი დასდონ, მაგრამ მათ აგრეთვე უფლება აქვთ გამოიტანონ დასკვნა, რომ ბრალდებული სრულებითაც არ ყოფილა ორგანიზაციის წევრი, ან მხოლოდ ფორმალურად ეკუთვნოდა მას, საქმით კი დაშორებული იყო ორგანიზაციას, და ამ საფუძველზე გამოიტანონ გამართლების განაჩენი. ყველა ასეთი ან მათი მონათესავე საკითხი მთლიანად იყვნენ და დარჩნენ ეროვნულ სასამართლოთა კომპეტენციაში. ეს სასამართლოები შეზღუდულნი არიან მხოლოდ ერთი, პრინციპულად უაღრესად მნიშვნელოვანი მხრივ: თუ საერთაშორისო ტრიბუნალი ორგანიზაციას დანაშაულებრივად სცნობს, ეროვნულ ტრიბუნალებს არ შეუძლიათ უარყონ ან თუნდაც სადაო გახადონ ასეთი ორგანიზაციის დანაშაულებრივი ხასიათი.

საერთაშორისო ტრიბუნალისა და ეროვნული სასამართლოების კომპეტენციათა აღნიშნული გამიჯვნა უაღრესად არსებითია დანაშაულებრივი ორგანიზაციების შესახებ ტრიბუნალის წესდებათა დადგენილებათა გასაგებად.

მართლაც, სწორედ იმიტომ, რომ ტრიბუნალმა უნდა გადასწყვიტოს მხოლოდ ზოგადი საკითხი ორგანიზაციათა დანაშაულებრივი ხასიათის შესახებ, და არა ამ ორგანიზაციების წევრთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცალკეული საკითხები, წესდება არც მიუთითებს ცნება „ორგანიზაციის" კონკრეტულ ნიშნებზე და ამ შემთხვევაში ტრიბუნალს არავითარი ფორმალური მოთხოვნებით არ ბორკავს. მაშასადამე, წესდებაში დანაშაულებრივი ორგანიზაციის დეტალური განსაზღვრა რომ არ არის, ეს წესდების ხარვეზი კი არა, არამედ მისი პრინციპული პოზიციაა, რომელიც გამომდინარეობს ზემოაღნიშნული ფაქტიდან—ეროვნული იუსტიციის ორგანოთა გამგებლობაში მთელი კონკრეტიკის დატოვებიდან. ამიტომ ორგანიზაციის დანაშაულებრივად ცნობისათვის ამა თუ იმ კონკრეტული ნიშნის (ნებაყოფლობითი წევრობის, ურთიერთის საქმეში ჩაბმულობის და სხვ.) არსებობის მოთხოვნის ცდებს არა თუ დასაყრდენი არა აქვთ წესდებაში, არამედ ისინი ეწინააღმდეგებიან მთელ მის კონსტრუქციას. ტრიბუნალის წინაშე მდგომი ძირითადი, ერთადერთი ამოცანაა არა ასეთი გამოკვლევანი, რომლებზეც მუშაობენ და იმუშავებენ ეროვნული სასამართლოები, არამედ ის, რომ დაადგინოს ერთი გადამწყვეტი ფაქტი: **ორგანიზაცია თავისი დანაშაულებრივი მოქმედებით თანამონაწილეობდა თუ არა ჰიტლერულ შეთქმულთა გეგმის განხორციელებაში.**

წესდების სწორედ ამ ამოცანის შესაბამისად აგებულია ორგანიზაციების პასუხისგებაში მიცემის საპროცესო წესი.

მართლაც, ტრიბუნალის წესდება ითვალისწინებს დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმის გადაწყვეტას ამ აუცილებელი პირობით, რომ განხილულ იქნება საქმე ამ ორგანიზაციის კონკრეტული წარმომადგენლისა, რომელიც ბრალდებულთა სკამზე ზის. ამ პროცესზე ბრალდებულნი ერთისა და იმავე დროს იყვნენ შეთქმულების მონაწილენი და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი წევრები, რომელთა მიმართაც ტრიბუნალმა უნდა გადასწყვიტოს საკითხი მათი დამნაშავეობად ცნობის შესახებ. მაშასადამე, ის დამამტკიცებელი მასალა, რომელმაც უკვე გაიარა ბრალდებულთა ინდივიდუალურ საქმეებში, იმავე დროს ძირითადი დამამტკიცებელი მასალაა იმ ორგანიზაციების მიმართაც, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. ბრალდების მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტებმა სრული სიცხადით დაადასტურეს, თუ საბრალდებო ოქმში დასახელებული ორგანიზაციები როგორ წარმოადგენდნენ შეთქმულთა დანაშაულებრივი განზრახვების განხორციელების მუდმივსა და უშუალო იარაღს. ამრიგად, სასამართლო კვლევა-ძიების შედეგად ამ ორგანიზაციათა დანაშაულებრივი ხასიათი მთლიანად და ამომწურავად არის დადასტურებული.

ორგანიზაციათა საქმეების გამოძიების მაქსიმალური ყოველმხრივობის უზრუნველსაყოფად ტრიბუნალის წესდება რადიოს, პრესისა და სპეციალურ განცხადებათა საშუალებით იწვევდა ბრალდებულ ორგანიზაციათა წევრებს წარედგინათ ტრიბუნალისათვის თავიანთი ახსნა-განმარტება. ტრიბუნალმა იცის, საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსებულ პირთა რა რაოდენობამ ისურვა გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა. დამხმარე კომისიის შექმნამ ტრიბუნალისათვის უზრუნველჰყო შესაძლებლობა მოესმინა ორგანიზაციების იმ წევრთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობისათვის, რომლებსაც შემდეგში მოუსმენენ და გაასამართლებენ ეროვნული სასამართლოები. მაგრამ აი, რთული მოსამზადებელი მუშაობის შედეგად, დაცვის მიერ შერჩეული ჯგუფი მოწმეებისა წარსდგა ტრიბუნალის წინაშე. დაცვამ, რომელიც უძლური იყო გაექარწყლებინა ბრალდების მიერ წარდგენილი დოკუმენტალური საბუთების უდავო დამადასტურებელი ძალა, გადასწყვიტა დაეპირდაპირებინა მათთვის თავიანთი მოწმეები.

ბატონო მოსამართლენო! ჩვენ გვახსოვს ეს მოწმეები და მათი ჩვენებანი. თუ კიდევ საჭირო იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ჰიტლერელთა ბოროტმოქმედებებს მუდამ და განუყრელად თან ახლავს სიცრუე, კალტენბრუნერის, სეისის, მანშტაინის, რაინეკეს, ბესტისა და სხვათა ცრუმოწმობა ამის დამაჯერებელი ილუსტრაცია შეიძლება იყოს. ეს „მოწმეები", რომლებიც ერთგულად ცდილობდნენ იმ დანაშაულებრივი ორგანიზაციების რეაბილიტაციას, რომელთა ხელმძღვანელი წევრებიც ისინი თვითონ იყვნენ,—აშკარა აბსურდამდე მიდიოდნენ. თურმე, სს-ც და გესტაპოც რჩეულთა საზოგადოებაა, კეთილშობილთა კლუბია, რაინდთა ორდენია. დამცველმა როზენბერგი ჯერ კიდევ წინათ ტყუილად როდი ჩარიცხა რაინდებში. აქ ყველა ბრწყინავს მორალური სიფაქიზით და ყველა აღსავსეა მოყვასისადმი სიყვარულით. ბრალდებულებს თუ მათ ადვოკატებს თუ მოვუსმენთ, გამოვა, რომ სს-ის პროფესიულ ჯალათთა ობერგრუპენფიურერი დადიოდა ებრაელთა გადასარჩენად დამრბევთაგან და მკვლელთაგან, ხოლო გენერალი ბრაუხიჩი ნამდვილი პაციფისტი იყო.

ამასთან საგულისხმოა, რომ, მოწმეთა ჩვენებით, სუფთა და უმწიკვლოა უკლებლივ ყველა ორგანიზაცია, რომლებსაც საბრალდებო ოქმი დანაშაულებრივ ორგანიზაციებად აღიარებს. მაგრამ, მაშინ ვინ-ღა ჩაიდინა 12 მილიონი მშვიდობიანი მოქალაქის მკვლელობა? ვინ აწამებდა სამხედრო ტყვეებს და ოკუპირებული ტერიტორიებიდან ვინ წაიყვანა მილიონობით ადამიანები მონური შრომისათვის გერმანიაში? მოპასუხეები, თურმე, არ არიან! უარყოფის ღირსი არ არის ცინიკური და ბილწი სიცრუე. იმ ადამიანების სიცრუე, რომელთა სინიდისი არ შეჩერებულა მკვლელობათა წინაშე, ხოლო ღირსება—ცრუ ფიცის წინაშე.

დანაშაულებრივ ორგანიზაციათა საქმის განხილვის წესით ბრალდებამ დამატებით წარადგინა გამანადგურებელი დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ ჰიტლერული დანაშაულებრივი ორგანიზაციების ახალ ბოროტმოქმედებებს.

ფაქტები, უდავო ფაქტები დადგენილია. კანონის ურყევი ნება ცხადია. დადგა დასკვნების გამოტანის დრო.

ჰიტლერული პარტიის ყრილობაზე 1934 წელს ჰიტლერმა განაცხადა:

„ჩვენ სახელმწიფომ კი არ შეგვქმნა, ჩვენ ვქმნით სახელმწიფოს. შესაძლოა, რომ ზოგიერთები ჩვენ პარტიად გვთვლიან, სხვები—ორგანიზაციად, დანარჩენები კიდევ რაღაცად, ნამდვილად კი ჩვენ ისინი ვართ, ვინც ვართ".

ეს პროცესი იძლევა ამომწურავ და ზუსტ პასუხს კითხვაზე—ვინ იყვნენ ჰიტლერელები. ფიურერი შეთქმულთა დანაშაულებრივი ბანდის სათავეში, რომლებიც სხვადასხვა როლებში და სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდნენ (მინისტრები, გაულაიტერები, ობერგრუპენფიურერები და სხვ.), გარშემორტყმული მათ მიერ შექმნილი დანაშაულებრივი ორგანიზაციების ქსელით, ორგანიზაციებისა, რომლებმაც თავიანთ მარწუხში მოაქციეს მილიონობით გერმანელი მოქალაქენი,—ასეთი იყო ჰიტლერული გერმანიის სქემატურად დახატული პოლიტიკური სტრუქტურა.

ამიტომ საბრალდებო ოქმში დასახელებული ორგანიზაციების აღიარება დანაშაულებრივ ორგანიზაციებად, ისევე როგორც შეთქმულების არსებობის აღიარება, მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი პირობებია, გამარჯვებისა, რომელიც ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხს სწყურია.

ცალკე ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ბრალდებას საჭიროდ მიაჩნია დანაშაულებრივ ორგანიზაციებად აღიაროს, იმ დამარწმუნებელი საბუთების დამატებად, რომლებიც ჩემმა პატივცემულმა კოლეგებმა გამოსთქვეს, მე საჭიროდ მიმაჩნია ვთქვა შემდეგი:

ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობა

საბრალდებო ოქმის მე-4 პარაგრაფის „ა" პუნქტის 1-ლ ნაწილში, რომელსაც სათაურად აქვს „ნაცისტური პარტია, როგორც საერთო გეგმის ანუ შეთქმულების ცენტრი", ნათქვამია:

„1921 წელს ადოლფ ჰიტლერი გახდა მთავარი ხელმძღვანელი ანუ „ფიურერი" გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიისა, რომელიც ცნობილია როგორც ნაცისტური პარტია და შექმნილია 1920 წელს. ნაცისტური პარტია თავის დამხმარე ორგანიზაციებთან ერთად გახდა ბრალდებულებისა და მათი თანამონაწილეების შეკავშირების საშუალებად და მათი შეთქმულების მიზნებისა და ამოცანების შესრულების იარაღად".

საქმის გარჩევამ სასამართლოში მთლიანად დაადასტურა ეს დასკვნა.

ჰიტლერული ხროვის მრავალრიცხოვან დანაშაულობათა სულისჩამდგმელი და წარმმართველი იყო ჰიტლერული პარტია—მშვიდობისა და დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა უშიშროების წინააღმდეგ ფაშისტური შეთქმულების მამოძრავებელი ძალა.

ბევრმა ბრალდებულმა და ეგრეთწოდებულმა დაცვის მოწმეებმა სთქვეს, რომ ისინი იყვნენ ნაციონალისტები, რომლებიც გერმანიას სხვა სახელმწიფოთა მხრივ ხელყოფისაგან იცავდნენ. ეს აშკარა სიცრუეა. მხოლოდ მატყუარებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ნორვეგია, დანია, ბელგია, ჰოლანდია, იუგოსლავია, საბჭოთა კავშირი და სხვა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნები ხელჰყოფდნენ გერმანიის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას. ნამდვილად გერმანელი ფაშისტები იმპერიალისტები არიან, რომელთათვისაც ძირითად და გადამწყვეტ მიზანს წარმოადგენს სხვისი მიწების დაპყრობა, რათა უზრუნველჰყონ შეომრულად განწყობილი გერმანელი კაპიტალიზმის ექსპანსია. ისინი თავიანთ თავს უსირცხვილოდ უწოდებდნენ სოციალისტებს. მხოლოდ გათახსირებულ დემაგოგებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ გერმანელი ფაშისტები, რომლებმაც მოსპეს ხალხის ყველა დემოკრატიული თავისუფლება და ისინი საკონცენტრაციო ბანაკებით შესცვალეს, რომლებმაც ქარხნებსა და ფაბრიკებში მონური შრომა შემოიღეს და გერმანიისა და მათ მიერ ოკუპირებული ქვეყნების სოფლებში ბატონყმური წესები აღადგინეს,—მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველნი არიან.

და თუ ეს იმპერიალისტები და რეაქციონერები „ნაციონალისტებისა" და „სოციალისტების" ტანსაცმლით იმოსებოდნენ, ისინი ამას მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის აკეთებდნენ, რომ ხალხი მოეტყუებინათ.

ჰიტლერული პარტიის თვით პროგრამა შეიცავდა ბატონობის, სხვისი ტერიტორიების დაპყრობის გეგმის საფუძვლებსა და კაცთმოძულეობის საფუძვლებს.

გერმანიის ფაშისტური პარტიის ერთ-ერთ ყოველწლიურში, რომელიც ლეის რედაქტორობით გამოდიოდა, ნათქვამი იყო:

„პროგრამა — გერმანიის ფაშისტური პარტიის პოლიტიკური საფუძველია და, მაშასადამე, სახელმწიფოს ძირითადი პოლიტიკური კანონი. ყველა უფლებრივი პრინციპი გამოყენებულ უნდა იქნას პარტიული პროგრამის საფუძველზე. ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ფიურერმა შესძლო განეხორციელებინა პარტიული პროგრამის ძირითადი ნაწილები, ძირითადი პრინციპებით დაწყებული — დეტალებამდე".

ჰიტლერული პარტია განუყოფელია ჰიტლერული მთავრობისაგან, სს-ისაგან, გესტაპოსაგან და ჰიტლერული რეჟიმის სხვა დანაშაულებრივი ორგანიზაციებისაგან, როგორც ბრალდებულთა სკამზე მსხდომი ჰიტლერული წინამძღოლები განუყოფელი არიან ოსვენციმისა და მაიდანეკის, ბაბი იარისა და ტრებლინკის ჯალათებისაგან.

„ის, რასაც მე მივაღწიე,—ამბობდა ჰიტლერი,—იცის პარტიამ, რომლის მეოხებითაც მე დიდი გავხდი და რომელიც მე ჩემი მხრივ განვადიდე".

გავახსენებთ, რომ რამდენადმე უფრო გვიან, 1933 წლის 1 დეკემბერს, გამოცემულ იქნა კანონი „პარტიისა და სახელმწიფოს ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ", რომელშიც აღნიშნული იყო: „ნაციონალ-სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გერმანიის ფაშისტური პარტია გერმანიის სახელმწიფოებრიობის მატარებელია და განუყრელად არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან.

სახელმწიფო დაწესებულებებთან პარტიული ორგანიზაციების უმჭიდროესი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად ფიურერის მოადგილე ინიშნება საიმპერიო მთავრობის წევრად".

ამ კანონის მე-3 პარაგრაფმა ფაშისტური პარტიისა და მოიერიშე რაზმების (მათთვის დაქვემდებარებული ორგანიზაციების ჩათვლით) წევრები „ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელებად და მამოძრავებელ ძალად" გამოაცხადა.

1933 წლის 1 დეკემბრის კანონი ძირითადი საზომი იყო, რომელმაც დანაშაულებრივი ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობისათვის უზრუნველჰყო სრული პოლიტიკური ძალაუფლება გერმანიაში, ვინაიდან ეს კანონი აწესებდა, რომ ჰიტლერული პარტია „სახელმწიფოს განსახიერებაა".

მოსახლეობის მასების ფაშისტური რეჟიმის მხარეზე გადასაბირებლად ჰიტლერელებმა, ეროვნული გრძნობებით სპეკულაციასა და ემაგლითი სოციალურ დემაგოგიასთან ერთად, შემოიღეს უაღრესად მოურიდებელი სოციალური მოსყიდვის სისტემა. შექმნილ იქნა მსგავსი ორგანიზაციები: ჰიტლერული ახალგაზრდობის კავშირი, „მუშათა ფრონტი", მოიერიშეები, სს-ელები და სხვ. ამ ორგანიზაციების მრავალრიცხოვანი წევრები მათ ფაშისტურ რეჟიმს დაუკავშირეს არა მარტო ყოველგვარი პრივილეგიებითა და მატერიალური სიკეთეებით, არამედ ერთად ჩადენილ დანაშაულობათა ურთიერთ თავდებობით. რეჟიმით უკმაყოფილო ელემენტების წინააღმდეგ კი მოქმედებდა ტერორის ტირანული მანქანა პოლიტიკური ძიების, პროვოკაციების, გამცემლობის, საკონცენტრაციო ბანაკების, საქმეთა სწრაფგადამწყვეტი იუსტიციის განშტოებული ქსელით.

სისტემა ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელ თანამდებობათა შეთავსებისა ხელმძღვანელ თანამდებობებთან ტერორისტულ ორგანიზაციებში—სს-ში, სდ-ში, გესტაპოში, და მთავრობაში ხელს უწყობდა ფაშისტ შეთქმულთა გეგმების განხორციელებას, აადვილებდა გერმანელი ხალხისა და სახელმწიფოს დამორჩილებისა და მათდამი კონტროლის გეგმების განხორციელებას.

სს-ის რაიხსფიურერი ჰიმლერი იმავე დროს გერმანიის ფაშისტური პარტიის რაიხსლაიტერი იყო.

რაიხსლაიტერი როზენბერგი იყო სს-ის და სა-ს გენერალი.

საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი იყო სს-ის გენერალი, ხოლო ფიურერის მოადგილე ჰესი იმავე დროს საიმპერიო მინისტრი იყო.

საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარე ნოირატი იყო სს-ის გენერალი, ხოლო გესტაპოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი—ბესტი ჰიტლერული პარტიის კრაისლაიტერი იყო და სხვ.

თავისი პარტიის შემწეობით მიაღწიეს რა გერმანიაზე სრულ კონტროლს, ჰიტლერელი შეთქმულები თავიანთი აგრესიული გეგმების რეალიზაციას შეუდგნენ. რაიხსტაგში 1938 წლის 20 თებერვალს წარმოთქმულ სიტყვაში ჰიტლერმა განაცხადა:

„ნაციონალ-სოციალისტური რევოლუციის უდიდესი გარანტია მდგომარეობს გერმანიაზე და გერმანიის ყველა ინსტიტუტსა და ორგანიზაციაზე ნაციონალ-სოციალისტური პარტიის სრულ საგარეო და საშინაო ბატონობაში... ყველა ინსტიტუტი უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის კონტროლქვეშ იმყოფება".

მე უკვე აღვნიშნე საბოლოო სიტყვაში, რომ გერმანიის ფაშისტური პარტია ბორმანის ხელმძღვანელობით გადაიქცა ხელმძღვანელ პოლიციურ ორგანიზაციად, რომელსაც უაღრესად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის საიდუმლო პოლიციასა და სს-სთან, რომ გერმანიის ფაშისტური პარტიის მთელი პარტიული აპარატი ჩაბმული იყო ჰიტლერული გერმანიის ხელმძღვანელთა დანაშაულებრივი აგრესიული გეგმების რეალიზაციაში; რომ გერმანიის ფაშისტური პარტიის პარტიული აპარატი აქტიურ მონაწილეობას იღებდა გერმანიის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთა იმ ღონისძიებებში, რაც მიმართული იყო სამხედრო ტყვეებისა და იმ მოსახლეობის არაადამიანური გამოყენებისაკენ, რომელიც გერმანელებმა მათ მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან მონობაში გარეკეს.

როცა პროცესზე ლაპარაკი იყო გებელსის სიცრუის, ჰიმლერის ტერორისა და რიბენტროპის ვერაგობის შესახებ—ეს მთლიანად შეეხებოდა ჰიტლერულ პარტიას. როცა ბრალდება წარადგენდა გერინგისა და ჰესის, როზენბერგისა და შტრაიხერის, შირახისა და ფრანკის, შპეერისა და ზაუკელის დანაშაულებრივი საქმიანობის დამამტკიცებელ საბუთებს—ეს იმავე დროს ადასტურებდა ბრალდებას გერმანიის ფაშისტური პარტიის წინააღმდეგ, რომლის მეთაურებიც ბრალდებულები იყვნენ. ეს დამადასტურებელი საბუთები საკმარისია, რათა მთელი ჰიტლერული პარტია ცნობილ იქნას დანაშაულებრივ ორგანიზაციად, როგორც ამას საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-9 მუხლი გულისხმობს. მაგრამ ბრალდება არ აყენებს საკითხს პარტიის რიგითი წევრების პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაგან ბევრი თავისი მიმნდობლობის მსხვერპლი გახდა.

ჩვენ ვაყენებთ საკითხს საბრალდებო დასკვნის სრული შესაბამისობით დანაშაულებრივ ორგანიზაციის აღიარების შესახებ მხოლოდ ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის მიმართ, რომელიც იყო ამ პარტიის ტვინი, ხერხემალი და მამოძრავებელი ძალა, ურომლისოდაც ჰიტლერული შეთქმულები ვერ შესძლებდნენ თავიანთ დანაშაულებრივ გეგმების განხორციელებას.

ხელმძღვანელი შემადგენლობა იყო განსაკუთრებული რჩეული ჯგუფი თვით ჰიტლერული პარტიის შიგნით და, როგორც ასეთს, სპეციალური პრეროგატივები ჰქონდა. პოლიტიკური ხელმძღვანელები ორგანიზებული იყვნენ ფიურერობის პრინციპების შესაბამისად, რომლებსაც იყენებდნენ არა მარტო ჰიტლერისადმი, არამედ მთელი ხელმძღვანელი შემადგენლობისადმიც.

„პარტიის ორგანიზაციის საფუძველი ფიურერობის პრინციპია"—აღნიშნული იყო გერმანიის ფაშისტური პარტიის საორგანიზაციო წესდებაში.

თვითეული პოლიტიკური ხელმძღვანელი ფიცს იღებდა. პარტიული წესდების შესაბამისად ფიცის ტექსტი შემდეგი იყო: „ვფიცავ ურყევ ერთგულებას ადოლფ ჰიტლერს. ვფიცავ უსიტყვოდ დავემორჩილო მას და მის მიერ დანიშნულ ხელმძღვანელებს".

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ნიურნბერგი, 21 აგვისტო. (საქდესი). ტრიბუნალის 21 აგვისტოს სალამოს სხდომაზე შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობისა და გენერალური შტაბის დამცველი ადვოკატი ლატერნზერი განაგრძობდა დოკუმენტების წარდგენას ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის დასაცავად.

სალამოს სხდომის ბოლოს დანაშაულებრივ ორგანიზაცია სა-ს საქმეზე დოკუმენტების წარდგენას შეუდგა ამ ორგანიზაციის დამცველი ადვოკატი ბემი.

ამით დამთავრდა ტრიბუნალის 21 აგვისტოს სალამოს სხდომა.

ნიურნბერგი, 22 აგვისტო. (საქდესი). ტრიბუნალის 22 აგვისტოს დილის სხდომაზე დანაშაულებრივი ორგანიზაციის — სა-ს დამცველი ადვოკატი ბემი განაგრძობდა დოკუმენტების წარდგენას ამ ორგანიზაციის დასაცავად.

დილის სხდომის დასასრულს ინგლისის ბრალდების წარმომადგენელმა გრიფიტს ჯონსმა წარადგინა მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებითაც მტკიცდება სა-ს პირდაპირი დანაშაული შეთქმულებაში და სხვადასხვა ბოროტმოქმედებებში.

ნიურნბერგი, 22 აგვისტო. (საქდესი). ტრიბუნალის სალამოს სხდომაზე 22 აგვისტოს დანაშაულებრივი ორგანიზაციის — სა-ს დამცველი ადვოკატი ბემი, რომელმაც დილის სხდომაზე უკვე დაამთავრა დოკუმენტების წარდგენა თავისი ორგანიზაციის დასაცავად, კვლავ ცდილობდა რაღაც დოკუმენტები წარედგინა.

შემდეგ დანაშაულებრივი ორგანიზაციის — სს-ს დამცველმა ადვოკატმა პელკმანმა განაცხადა, რომ ის მასალები, რომლებიდანაც წინა დღით მან ციტატები მოიყვანა, შედგენილია ყოფილი სს-ელების 136 ათასი წერილობითი ჩვენების საფუძველზე. როგორც სჩანს, დამცველს სურდა სასამართლოს ყურადღება მიექცია ამ ციფრებისათვის, რათა ეჩვენებინა, რომ მის დოკუმენტაციას მნიშვნელოვანი წონა აქვს, მაშინ როცა საქმე ეხება იმ სს-ელთა ჩვენებას, რომლებიც, ბუნებრივია, ყოველნაირად ცდილობენ გაამართლონ თავიანთი ორგანიზაცია.

ადვოკატი პელკმანი აქვე აცხადებს, რომ იგი თავის თავს ვალდებულად სთვლის აზრი გამოსთქვას იმ წერილობით ჩვენებათა გამო, რომლებიც წარმოდგენილია ბრალდებისა და სხვა დამცველების მიერ. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს დამცველს ეს მან თავის მომავალ სადამცველო სიტყვაში გააკეთოს. პელკმანი არ ისვენებს და მოითხოვს სასამართლოში გამოწვეულ იქნას კიდევ ორი მოწმე. ტრიბუნალის თავმჯდომარე ლორენსი წინადადებას აძლევს ეს შუამდგომლობა მან წერილობით შემოიტანოს.

ამის შემდეგ ბრალდებულ კაიტელის დამცველი ადვოკატი ნელტე აცხადებს, რომ მას სურს წარადგინოს სამი დამატებითი წერილობითი ჩვენება. მას სცვლის ბრალდებულ შირახის დამცველი ადვოკატი ზაუტერი, რომელიც ადგენს კიდევ ორ რაღაც დაუთხვის ფურცელს და გერმანული გაზეთის ნომერს და ითხოვს ისინი მიიღონ როგორც საბუთები. თითქოს დასასრული არ უჩანს დამცველთა სხვადასხვა შუამდგომლობას, თხოვნასა და მოთხოვნას.

ტრიბუნალის თავმჯდომარე ლორენსი იწვევს სერვატიუსს — დანაშაულებრივი ორგანიზაციის — ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის დამცველს, რათა მან სადამცველო სიტყვა წარმოსთქვას მისი მარწმუნებელი ორგანიზაციის საქმეზე.

სერვატიუსი ჯერ ჩერდება იმ პირთა წრეზე, რომლებიც შეიძლება გაერთიანებულ იქნან „პოლიტიკურ ხელმძღვანელთა კორპუსის" ცნებით. იგი მოაგონებს სასამართლოს, რომ ბრალმდებლები ამ ჯგუფს აკუთვნებენ ჰიტლერულ ხელმძღვანელებს, დაწყებული რაიხსლაიტერებით და გათავებული ბლოკლაიტერებით, სულ დაახლოებით 600 ათას კაცს. დამცველი აცხადებს, პოლიტიკური ხელმძღვანელები ხშირად იცვლებოდნენო, და ცდილობს დაარწმუნოს ტრიბუნალი განცხადებით, რომ „პოლიტიკურ ხელმძღვანელთა კორპუსში" ამრიგად შეიძლება ითვლებოდეს ორნახევარი მილიონი კაცი.

სერვატიუსის სიტყვის მეორე ნაწილი ამჟღავნებს მის მიერ პროცესის მსვლელობაში გამოყენებულ ტაქტიკას.

ეს ტაქტიკა ახალი როდია — სასამართლოში მას იყენებდნენ ბევრი ბრალდებული და დაცვის მოწმეთა უმეტესობა. ეს ტაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ფაქტი ლიტონი სიტყვით უარჰყო.

სერვატიუსი თავის სიტყვაში არაერთგზის იმეორებდა გებელსის პროპაგანდის თეზისებს.

ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის დამცველის სიტყვის განგრძობა გადატანილია ტრიბუნალის 23 აგვისტოს დილის სხდომაზე.

ნიურნბერგი, 23 აგვისტო. (საქდესი). დღეს ტრიბუნალის დილის სხდომაზე დანაშაულებრივი ორგანიზაციის — ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის დამცველი ადვოკატი სერვატიუსი განაგრძობდა დასაცავ სიტყვას.

ადვოკატი ამართლებს ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის დანაშაულებრივ საქმიანობას, ამასთან ეყრდნობა მხოლოდ თვით ჰიტლერელთა ჩვენებას და უგულებელჰყოფს დამამტკიცებელ საბუთებს.

თავისი სიტყვის ბოლო ნაწილი დამცველმა მიუძღვნა დანაშაულებრივი ორგანიზაციის — ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა უფლებრივი საკითხების განხილვას.

ნიურნბერგი, 23 აგვისტო. (საქდესი). ტრიბუნალის 23 აგვისტოს სალამოს სხდომაზე დანაშაულებრივი ორგანიზაციის—გესტაპოს დამცველმა ადვოკატმა მერკელმა წარმოსთქვა ამ ორგანიზაციის დასაცავი სიტყვა.

ნიურნბერგი, 26 აგვისტო. (საქდესი). ტრიბუნალის 26 აგვისტოს თითქმის მთელი სალამოს სხ[illegible] დანაშაულებრივი ორგანიზაციის — [illegible] ადვოკატ[illegible]

სალამოს სხდომის დამთავრების წინ დანაშაულებრივი ორგანიზაციის სდ-ის („უშიშროების სამსახური") დასაცავად სიტყვა წარმოსთქვა მისმა ადვოკატმა გაბლიკმა. მისი სიტყვის განგრძობა გადატანილია 27 აგვისტოს დილის სხდომისათვის.

ნიურნბერგი, 27 აგვისტო. (საქდესი). 27 აგვისტოს დილის სხდომაზე ტრიბუნალი შეუდგა სდ-ის („უშიშროების სამსახური") დამცველის ადვოკატ გაბლიკის მიერ წინა სხდომაზე დაწყებული სიტყვის მოსმენას.

მის შემდეგ დილის სხდომის ბოლოს დასაცავი სიტყვით გამოვიდა დანაშაულებრივი ორგანიზაციის — ოკვ-ისა და გერმანიის არმიის გენერალური შტაბის დამცველი ადვოკატი ლატერნზერი.

ადვოკატ ლატერნზერის სიტყვის განგრძობა გადატანილია სალამოს სხდომისათვის.

ნიურნბერგი, 27 აგვისტო. (საქდესი). ტრიბუნალის სალამოს სხდომაზე დანაშაულებრივი ორგანიზაციის — გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის (ოკვ) და გენერალური შტაბის დამცველმა ადვოკატმა ლატერნზერმა განაგრძო დასაცავი სიტყვა.

ნიურნბერგი, 28 აგვისტო. (საქდესი). ტრიბუნალის დილის სხდომაზე დანაშაულებრივი ორგანიზაციის — საიმპერიო მთავრობის დამცველმა ადვოკატმა კუბუშოკმა დაიწყო თავისი სიტყვა ამ ორგანიზაციის დასაცავად.

ნიურნბერგი, 28 აგვისტო. (საქდესი). ტრიბუნალის 28 აგვისტოს სალამოს სხდომა დაიწყო დანაშაულებრივი ორგანიზაციის—სა-ს დამცველის ადვოკატ ბემის სიტყვით.

სალამოს სხდომის ბოლოს დანაშაულებრივ ორგანიზაციათა საქმეზე თავისი სიტყვის წარმოთქმას შეუდგა ბრალდების ინგლისელი წარმომადგენელი დევიდ მაქსუელ-ფაიფი.

ბრალდების ინგლისელი წარმომადგენლის სიტყვის განგრძობა გადატანილია 29 აგვისტოს დილის სხდომისათვის.

ნიურნბერგი, 29 აგვისტო. (საქდესი). დღეს ტრიბუნალის დილის სხდომა იწყება დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმეზე ინგლისის ბრალდების წარმომადგენლის, დევიდ მაქსუელ-ფაიფის საბოლოო სიტყვის განგრძობით.

— ჩვენ ახლა ვიცით, — ამბობს ბრალმდებელი, — თუ როგორ და რა მიზნებისათვის ამობილიზებდა და რაზმავდა ნაცისტური პარტია გერმანელ ხალხს. ეს ხდებოდა ომისათვის და მკვლელობათა საშუალებით მსოფლიოზე ბატონობისათვის. ამ მიზნებს ერთგულად ემსახურებოდნენ დანაშაულებრივი ორგანიზაციები. მორჩილი და დამთმობი საიმპერიო კაბინეტი სწრაფად სცემდა საჭირო კანონებსა და დეკრეტებს; აზრის თავისუფლებას და ოპოზიციის ყოველგვარ ნიშანს ულმობლად ახშობდა ჯაშუშობისა და პოლიციის სამსახური სდ-ის („უშიშროების სამსახური") და გესტაპოს სახით. საზოგადოებრივ აზრზე სრულ კონტროლს და მასზე ზემოქმედებას განუწყვეტლივ ახორციელებდა ჰიტლერელ პოლიტიკურ ხელმძღვანელთა ფანატიკური კორპუსი; შემდეგ სცენაზე ჩნდებოდნენ სს და სა, რომლებიც ახორციელებდნენ ტერორს გერმანიის შიგნით და საზღვარგარეთ; და, ბოლოს, არსებული შეიარაღებული ძალების დანაშაულებრივი მიზნებით გამოყენების იარაღს წარმოადგენდნენ შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობა (ოკვ) და გენერალური შტაბი. ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციების დახმარებით ბრალდებულებმა და მათმა თანამშრომლებმა მოახერხეს გერმანიის დარაზმვა თავიანთი დანაშაულებრივი შეთქმულების განსახორციელებლად.

ბრალმდებელი გადადის სამი დანაშაულებრივი ორგანიზაციის — ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის, სა-ს და სს-ის მოქმედების განხილვაზე და დოკუმენტებისა და მოწმეთა ჩვენების საფუძველზე არკვევს, რომ ამათგან პირველი ორგანიზაციის წევრები შეკავშირებული იყვნენ ერთიანი დანაშაულებრივი მიზნით ყველაზე დაბლიდან ყველაზე მაღალ რგოლამდე. ისინი ყოველდღე ეფიცებოდნენ ერთგულებას ჰიტლერს და აღთქმას სდებდნენ უცილობლად დამორჩილებოდნენ მას და მის მიერ დანიშნულ ადამიანებს. გერმანელ ხალხზე ზედამხედველობის განხორციელება იმდენადვე წარმოადგენდა პოლიტიკური ხელმძღვანელების ამოცანას, რამდენადაც სდ-ისა და გესტაპოს ამოცანას.

ბრალმდებელს მოჰყავს ციტატები სხვადასხვა დოკუმენტებიდან და ტრიბუნალის წინაშე გადაშლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა სურათს.

ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის, როგორც ორგანიზაციის, სამხედრო დანაშაულებს ბრალმდებელი მიაკუთვნებს აგრეთვე იმ უმძიმეს დანაშაულებებს, რაც ჩაიდინეს სამხედრო ტყვეების მიმართ და ჩამოგდებულ თვითმფრინავთა მოკავშირე მფრინავების წინააღმდეგ.

ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობა, ამბობს ბრალმდებელი, [illegible] როდი იდგა აგრეთვე იმ დანაშაულობათაგან, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაიდინეს.

ბრალმდებელი გადადის სა-ს მიერ ჩადენილ დანაშაულობათა ანალიზზე და მოაგონებს ტრიბუნალს, რომ, როგორც უკვე დამტკიცდა, ჰიტლერელმა შეთქმულებმა სა შეჰქმნეს მათ მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და [illegible] ტერორისა და ჰიტლერული რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მოსპობის [illegible] იარაღად.

ინგლისელი ბრალმდებლის სიტყვის დამთავრება გადატანილია ტრიბუნალის სალამოს სხდომისათვის.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

სსრკ ტექნიკურ კულტურათა სამინისტროს თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:
1) აბრეშუმის ჭიის სელექცია—გენეტიკა, 2) ბიოლოგია და გრენაჟი, 3) პარკის ტექნოლოგია, 4) ჭიის მიკრობიოლოგია.
ასპირანტურაში მიიღებიან სსრკ მოქალაქენი არა უმეტეს 40 წლისა, რომელთაც აქვთ დამთავრებული უმაღლესი განათლება.
მისაღები საკონკურსო გამოცდები იწარმოება სპეციალურ დისციპლინებში, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, რუსულ ენასა და ერთ-ერთ უცხო ენაში (უმაღლესი სასწავლებლის კურსის მოცულობით).
განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების მოწმობა, 2) ავტობიოგრაფია, 3) დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ან სწავლის ადგილიდან, 4) სამხედრო ვალდებულებასადმი დამოკიდებულების ცნობა, 5) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 6) ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, 7) სამეცნიერო შრომათა სია და 8) შემოწმებული სამი ფოტოსურათი.
განცხადებები მიიღება 10 სექტემბრამდე.
მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 184, ტელეფონი 3-35-60.
ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის სწავლულ მდივანთან.
ინსტიტუტის დირექტორი დოცენტი დ. ი. დოლიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-78-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის —3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

[illegible] გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00197